



# მეცხეთის უნივერსიტეტი

№ 6-7 (271) ნოემბერი-დეკემბერი, 2020 წელი

გამოცემის 1990 წლის დეკემბრიდან

## გილოცავთ შტმა-ახალ წელს!



### უფრო დიდი გამარჯვების იმედით!

მაკა პერიძე

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი

**უცნაური** ახალი წელი მოდის. დღესასწაულისთვის უჩვეულო მოწყენილობა ირგვლივ. ადამიანები პირბადეებით დადიან, ერთდებიან ერთმანეთთან სტუმრობას. მოუხეხია უნივერსიტეტის პატარა ნაძვისხეს. მორთული კია, მაგრამ მის გარშემო სტუდენტთა მხიარული ხმები არ ისმის. არავინ ცდილობს აქ ფოტოს გადაღებას. მოწყენილია უნივერსიტეტის ეზო. აღარ არის განსხვავება ლექციებსა და დასვენებებს შორის. ეს არ არის მხოლოდ ჩვენი უნივერსიტეტისათვის დამახასიათებელი. მონუსხულია დედამიწა. დაცარიელებული და გაყურსულია სამყარო.

ახალი ვითარება ახალი გამოწვევის წინაშე გვაყენებს. დისტანციური მოლოცვა, დისტანციური სწავლა, გამოცდები, ყველაფერმა ერთგვარი ვირტუალური ხასიათი მიიღო, მაგრამ სიტუაცია გრძელდება! ხომ არ გავჩერდებით, განვითარების გარეშე ცხოვრება არ შე-

იძლება. ინტერნეტი ისედაც ამბობდა თავის სიტყვას, მაგრამ დღეისათვის ინტერნეტიც დაძველდა და კიდევ უფრო გამძაფრდა ელექტრონული ურთიერთობა. ვინ რომელი პროგრამით იძენს, ვინ რომელი პროგრამით გადასცემს ცოდნას, აღარა აქვს მნიშვნელობა. დისტანციურობის მიუხედავად უფრო დაახლოვდა პროფესურა და სტუდენტობა. ისინი არაფორმალურ გარემოში ხვდებიან ერთმანეთს, მეტი ნდობა და ადამიანური თვისებები ნამოვიდა წინა პლანზე, სხვაგვარად დაფასდა ადამიანური ურთიერთობებიც. ერთადერთი ჩვენი უნივერსიტეტი აღმოჩნდა სახელმწიფო უნივერსიტეტებს შორის ჩვენს ქვეყანაში, სადაც სწავლების ორივე ფორმა ბოლომდე შენარჩუნდა – როგორც საკონტაქტო, ისე დისტანციური. ეს ხელისუფლებისაგან ნდობაც იყო და გარკვეული ტესტიც – რამდენად ერთიანია სამცხე-ჯავახეთის სახელმწი-

ფო უნივერსიტეტი, რამდენად გაუძლებს ვირუსის შემოტევას სასწავლებელი, რომელმაც სტუდენტთა გარკვეულ ნაწილს ინტერნეტპაკეტები შეუძინა, ზოგს კომპიუტერები დაუთმო, რომ ჩართვა შეძლებოდათ.

2020 წელს გარდამტეხი მნიშვნელობის ფაქტები მოხდა უნივერსიტეტის ცხოვრებაში, წარმატებით გავიარეთ, ავამოქმედეთ ვეტერინარიის ახალი პროგრამა, სააკრედიტაციოდ წარდგენილმა საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებმა მიიღო აკრედიტაცია. ავირჩიეთ ახალი სტუდენტური თვითმმართველობა. ჩვეულებრივ ამბად იქცა უნივერსიტეტში ელექტრონული არჩევნები პანდემიის პირობებში. ელექტრონული კონტაქტები, ურთიერთობანი ცხოვრების, უნივერსიტეტის ნაწილად იქცა და ეს გაგრძელდა...

ჩვენს სტუდენტებსა და თანამშრომლებს შეხვდა ვირუსი, მაგრამ დავამარცხეთ. დიდი პასუხისმგებლობით და ერთიანობით შევძელით, რომ სასწავლო პროცესი ღირსეულად წარმართულიყო. მაღალმა ყველას, ვის შრომასა და საქმისადმი კეთილსინდისიერ დამოკიდებულებასაც დაეფუძნა ეს წარმატებები. უფრო დიდი გამარჯვებები წინ არის. ყველას ვუსურვებთ ჯანმრთელად ყოფნას.

მომავალი წელი კორონას გარეშე! ეს რჩება თქვენდამი, ჩვენი ქვეყნისადმი, ჩვენი უნივერსიტეტისადმი ყველაზე დიდ სურვილად. ეს იქნება ახალი წლის მთავარი პათოსი. პანდემიას დავამარცხებთ, სიახლეები კიდევ უფრო დაიხვეწება და გაგრძელდება. იმედებით ვიცუვებთ ახალ წელს. იმედი გვაქვს, ახალი წელი საბოლოოდ დავაბრუნებთ ერთმანეთთან. გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!

გაგრძელება მე-2 გვ.

### საუბოხო მილოცვა

**„დიდება** მაღალთა შინაღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნობა“. ამ საგალობელს გალობდნენ ანგელოზები ბეთლემს, როდესაც მზე სიმართლისა აღმოჩნდნენ და მხოლოდმობილი უფალი იშვა ქალწულ მარიამისგან. ანგელოზთა ეს გალობა გვაუწყებდა იმ საიდუმლოს, რომელიც აღესრულებოდა ბაგაში და რომელსაც მოჰქონდა მშვიდობა, ნუგეში და სიხარული. უსაზღვროთა ეს სიხარული და ჩვენც შევთხოვით ქრისტეს შობის ცხოველყოფელ მადლს, რომ არ მოკლებოდეს მშვიდობა ქვეყნიერებას.

გილოცავთ ქრისტეს შობის ბრწყინვალე დღესასწაულს,



ჩვენი სულიერი დაბადების და განახლების დღესასწაულს. ღმერთმა დაგლოცოთ.

მეუფე თეოდორე, მიტროპოლიტი ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის ქრისტეს შობა 2021 წელი

### უნივერსი საჩუწავი – სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებლებისათვის საუბოხო განათავსების შესახებ

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ვაკანტურ თანამდებობაზე შერჩეულ იქნა პროფესორ როინ თათეშვილის კანდიდატურა, რომელიც წრმომადგენლობითმა საბჭომ მეორე ვადით დაამტკიცა. ბატონი როინი უნივერსიტეტში 2005 წლიდან მუშაობს. გარდა სხვადასხვა თანამდებობისა, რომელიც ძირითადად ფინანსურ და აუდიტურ საქმიანობებს უკავშირდებოდა, იგი გახლავთ ბიზნეს-ადმინისტრირების ფაკულტეტის პროფესორი. ინტერვიუ როინ თათეშვილთან იხილეთ გაზეთის ამავე ნომერში.



გაგრძელება მე-3 გვ.

აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის

### ბიზნეს-ინფორმატიკის

სამაგისტრო პროგრამა მიიღო აკრედიტაციის სრული ვადით.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის

### ქართული ფილოლოგიის

სადოქტორო პროგრამა მიიღო აკრედიტაცია.



33.2  
**ანდრეის ბაგოშვილი და სანტა-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

### გულაპაძე-ვატარაძის ფონდის სტიპენდიანტები



33.6  
გულაპაძე-ვატარაძის ფონდის სტიპენდიანტები



33.5  
**„საქვე შედეიანი მაშინა, ნოქასა მთაქალასა და ნეჩიას დაახანავ“**

● 17 დეკემბერს, განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე გაიმართა დეკანის არჩევნები. არჩევნების შედეგად, 4 წლის ვადით, ფაკულტეტის დეკანი გახდა ასოცირებული პროფესორი გულიკო ბეჭაური.

● 18 დეკემბერს, ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე გამართული დეკანის არჩევნების შედეგად, ოთხი წლის ვადით, ფაკულტეტის დეკანი გახდა პროფესორი ლევან მაკარაძე.

**კაცობრიობას** ახსოვს მრავალი განსაცდელი, რომელთა შორის ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავთ პანდემიებს, ბიოლოგიურ კატასტროფებს, რომლებიც საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს აზიანებს, ადამიანთა სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, როგორც ღვთისგან ქმნილ უმაღლეს ღირებულებას, საფრთხეს უქმნის; მთელ სამყაროში იგი იწვევს უმუშევრობის ზრდას, განათლების სფეროში ქმნის სირთულეებს, მოქალაქეთა მდგომარეობის გაუარესებას, რის გამოც გარდაუვალია სახელმწიფოს ეკონომიკური ვარდნა. პანდემია არაა მხოლოდ ერთი ქვეყნის პრობლემა, იგი მასშტაბურია, გლობალური ხასიათისა და მთელ მსოფლიოს ემუქრება ადამიანთა სიცოცხლის მოსპობით, სოციალური განადგურებამდე მიყვანით, საზოგადოებრივ ურთიერთობათა ნალექით. თუმცა, იგი უშუალოდ გლობალიზაციის შედეგი არ არის.

საქართველოში, ისევე როგორც მთელმა მსოფლიომ, სხვადასხვა დროს გადაიტანა „შავი ჭირის“, იგივე ჟამიანობის, „ქოლერის“, „ესპანური გრიპის“ და სხვა პანდემიები, რომელთაც ადამიანთა დიდი მსხვერპლი და ღრმა ეკონომიკური კრიზისი მოჰყვა.

კაცობრიობის ისტორიის ყოველ ეტაპზე ადამიანი და მისი სიცოცხლე იყო ის მარადიული ღირებულება, რომლის სრულყოფასა და დაცვას ცდილობდა მოაზროვნე საზოგადოება.

ცნობილია, რომ ყოველი სახელმწიფოს ყველაზე ელიტარულ რესურსად კულტურა, მეცნიერება, განათლება, ხოლო ყოველ ეპოქაში ადამიანთა საქმიანობაში ყველაზე აქტიურად მუშაობდა განათლება და მიზნები, რადგან ერთს ადამიანის სიცოცხლე აბარია და მისი პასუხისმგებლობაა სიცოცხლის გაფრთხილება, მეორეს – ადამიანის სულიერი და ინტელექტუალური ცხოვრების მონესრიგება. არიან სახელმწიფოები, რომლებიც არაფერს იშურებენ ამ მიმართულებების განსაკუთრებულად. ჩვენ ამ რიგის სახელმწიფოებს არ ვეკუთვნივთ მრავალი მიზეზის გამო, რომელთა განხილვა ამ სტატიის მიზანი არაა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ მიზეზთა მოძიების გარეშე შედეგებზე საუბარი არცაა მიზანშეწონილი.

დავსვათ კითხვა, რა აჩვენა პანდემიამ მსოფლიოს და, რა თქმა უნდა, საქართველოს, რის წინაშე დაეყენა ადამიანის სიცოცხლის გლობალურად დაცვის მოთხოვნამ სამყარო. უნიწარეს ყოვლისა, აღვნიშნავ ადამიანისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი და უმნიშვნელოვანესი სფეროების, კერძოდ, სამედიცინო სისტემის, სოფლის მეურნეობის, ტექნოლოგიური სისტემების ჩვენს სახელმწიფოში განვითარების აუცილებლობას. ჩვეულებრივ, ე.წ. ექსპერტები ყურადღებას ამახვილებენ სწორედ დასახელებულ სფეროთა დამოუკიდებლობაზე, ამ სფეროებში არსებული პრობლემებზე.

ბოლო ხანებში განსაკუთრებული აქცენტები კეთდება ტურიზმის, სამომხმარებლო და მომსახურების მიმართულებებში არსებულ მძიმე ვითარებაზე; ანალიტიკოსები მიუთითებენ, რომ ნებისმიერ სახელმწიფოში აუცილებელია პანდემიის მართვის პოლიტიკური მზაობა და მაღალი ეკონომიკური დონე, რათა რაც შეიძლება

მაღე დაიძლიოს კაცობრიობის გამანადგურებელი საფრთხე. გულსატკეპია, რომ უყურადღებოდ ტოვებენ განათლებასთან, მეცნიერების, კულტურის განვითარებასთან დაკავშირებულ გამოწვევებს. ავინყვებთ, რომ ყოველივე ამ უბედურების სათავე განათლების, მეცნიერების, სამედიცინო სფეროში არსებულ პრობლემებშია საძიებელი.

განათლების სისტემაში განსაკუთრებით საგრძნობია პანდემიის გავლენის მოსალოდნელი შედეგი, რადგან სწავლა-სწავლების პროცესი მოითხოვს



**ნატან სულავა**  
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

# განდევნის გამოწვევა და სხვა-ჯანსაღი სწავლების უნივერსიტეტი

სტუდენტისა და პედაგოგის ერთობლივ მუშაობას, რასაც დისტანციური სწავლება და საქმიანობა, რასაც მთელმა მსოფლიომ მიმართა ამ ურთულეს პერიოდში, ყოველთვის შედეგად არ არის. ცხადია, სახელმწიფოს გარეშე შეუძლებელია პანდემიასთან ბრძოლა და მისი შედეგების აღმოფხვრა საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ სფეროში, მათ შორის განათლების სფეროში. ამიტომ აუცილებელი გახდა, კაცობრიობის ერთიანი მოქმედებით, ადამიანთა კეთილდღეობისათვის ინოვაციური განვითარება, რის გამოც სახელმწიფოებრივი გადამწყვეტილება იყო ონლაინ სწავლების დანერგვა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სახელმწიფოებრივ აზროვნებასა და მოქალაქეობრივ შეგნებას, რომელთა გარეშე ჩვენ წინაშე არსებული სირთულის დაძლევა გაჭირდება.

რა სირთულეების წინაშე აღმოჩნდა საგანმანათლებლო სისტემა კაცობრიობისათვის უმძიმეს სიტუაციაში, პანდემიის პირობებში? შექმნილმა ვითარებამ, უწინარეს ყოვლისა, გადააფასა ღირებულებები. კერძოდ, აჩვენა, რომ ეკონომიურ სიძლიერეს ყოველთვის არ უზრუნველყოფს პანდემიის დაძლევის გზების მოძიება და არ ახლავს საჭირო მორალური ფასეულობები, რომლის გარეშე შეუძლებელია ამ თავსდამტყდარი განსაცდელის გადალახვა, განსაცდელისა, რომელიც ყოველი ადამიანის სიცოცხლეს, ცხოვრებას შეეხო, პირადი სივრცე დაურღვია, სოციალური ურთიერთობის მაღლს მოაკლო. თუ რამდენად ეფექტური აღმოჩნდება სახიდან მუშაობა, რომელსაც „მომავლის ტექნოლოგიად სახავენ“, ძნელი სათქმელია. მიიჩნევენ, რომ მას დიდი პოტენციალი აქვს. ამას დრო გვიჩვენებს. პანდემიამ შინ ჩაკეტა საზოგადოება, ადამიანი გაუ-უცხოვდა ადამიანს, საზოგადოებას, კულტურულ დასვენებას, ნორმალურ საზოგადოებრივ ყოფას.

დისტანციური სწავლა-სწავლების პროცესში სტუდენტების რამდენიმე სახის ნაკადი აღმოჩნდა: 1. ისინი, ვინც ჩვეულებრივ პირობებში, სააუდიტორიო სწავლების დროს ბეჯითად მეცადინეობდნენ, ჩვეულებას არც ონლაინ სწავლების პირობებში ღალატობდნენ; 2. ნაწილი ცხოვრობს ისეთ რეგიონებში, სადაც ინტერნეტისა და ელექტროენერჯის პრობლემაა და, შესაბამისად, როგორც მონადინებულიც არ უნდა იყოს სტუდენტი, ვერ შეძლებს შესაბამისი განათლების მიღებას; აქ სახელმწიფო ინსტიტუციების ჩარევაა აუცილებელი, უნივერსიტეტი ამას მხოლოდ ნაწილობრივ თუ მოაგვარებს; 3. ნაწილი თავი იჩინა ჩვეულმა სიზარმაცემ, რაც ჩვეულებრივი სწავლების დროსაც გავრცელებულია, და უნივერსიტეტების მიმართ საკომპეტენციო ქულების მიღების დავალებულე-

სწავლა-სწავლების პროცესმა, რადგან საჭირო გახდა აუცილებელი თვალსაჩინოების გაციფრება; 4. ბიბლიოთეკების ძალზე პრომატევადი ონლაინ მუშაობა, რაც მძიმე სენის გადადების საფრთხესაც მოიცავდა, რადგან საჭირო იყო უნივერსიტეტის კორპუსებში მისვლა; 5. საჭირო გახდა პროგრამების, კურიკულუმების, სილაბუსების მოდიფიკაცია, მასწავლებელთა და ადმინისტრაციის მეთოდების, მიდგომების გადარჩევა; 6. ჩვენი უნივერსიტეტისათვის განსაკუთრებით პრიორიტეტული გახდა სტუდენტთა, პროფესორ-მასწავლებელთა და ადმინისტრაციის თანამშრომელთა უსაფრთხოების დაცვა. უნივერსიტეტის რექტორატმა და ადმინისტრაციამ იზრუნა ყოველი ჩამოთვლილი პრობლემის მოსაგვარებლად, რისთვისაც ისინი მაღლობას იმსახურებენ. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა

შეძლო პანდემიით შექმნილ სირთულეებთან ღრმად გაამკლავება. ყოველ მოვლენას, ფაქტს ახლავს დადებითი ფაქტორიც. თითქოს პანდემიის პირობებში ამ განაცხადის გაკეთება მოულოდნელია, მაგრამ შექმნილმა ვითარებამ დადებითი შედეგებიც მოიტანა. ჩამოვთვლი რამდენიმე: 1. სახლიდან მუშაობისას პროფესორ-მასწავლებელთა უმრავლესობა სამუშაოდროს უფრო სრულად უთმობს თავის პროფესიულ საქმეს, ნაკლები დრო იკარგება, რადგან ტრანსპორტით გადაადგილება არ უწევთ; ერთ-ერთი უცხოელი მკვლევარი საინტერესოდა კვანძდება მივიდა. დანესებულებებში ხშირია სხვადასხვა ტიპის ღონისძიებები: თანამშრომლის გადადების დღის აღნიშვნა, კოლეგის ბოლო დღე სამსახურში, სხვადასხვა ტიპის გადალახვა კენები. ეს ფაქტორები ადამიანს მუშაობისას კონცენტრაციას აკარგვინებს, რაც მისი მუშაობის ხარისხის შემცირებას იწვევს. ამიტომ იგი სახლიდან მუშაობას ეფექტურად მიიჩნევს. მისივე განცხადებით, სახლიდან მუშაობის შედეგად თანამშრომლები უფრო მეტად პროდუქტიულები არიან; 2. შინ მუშაობისას ნებისმიერი პროფესიონალი ადამიანი სალექციო კურსის წარმართვისას უკეთაა კონცენტრირებული და შესაძლებლობა აქვს თვალსაჩინოების სახით გამოიყენოს საკუთარი ბიბლიოთეკის ის იმეათი წიგნები, რომლებიც სტუდენტმა შესაძლოა ბიბლიოთეკაში ვერ ნახოს; 3. სტუდენტებმა, პროფესორ-მასწავლებლებმა, ადმინისტრაციის თანამშრომლებმა უდიდესი სამუშაო გასწიეს ონლაინ სწავლების პლატფორმების ასათვისებას, რაც შესაძლებელი გახდა უნივერსიტეტის საინფორმაციო სისტემის თანამშრომელთა მუშაობისა და დახმარების შედეგად; შეიქმნა ყველა სტუდენტის, პროფესორ-მასწავლებლის, ადმინისტრაციის თანამშრომლის ელფოსტა, პაროლი, ყველა საგნის სასწავლო ჯგუფები მუდლის პროგრამა-

ში; აქვე აღვნიშნავ, რექტორატმა და ადმინისტრაციამ სხვა პლატფორმებით, კერძოდ, მე-სენჯერით, სკაიპით, ზუმით მუშაობის შესაძლებლობაც მოგვცა; 4. უნივერსიტეტმა ინტერნეტის საფასური გადაუხადა იმ სტუდენტებს, რომელთა ოჯახებს საამისო ეკონომიური საშუალება არ ჰქონდა; ვისაც კომპიუტერის უქონლობის გამო არ შეეძლო ლექციებზე დასწრება, უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხვითი კომპიუტერი გადასცა დროებით, რათა შესაძლებლობა მისცემოდათ სრულფასოვანი განათლების მისაღებად; პანდემიამდე დისტანციურ სწავლებას არ ექცეოდა განსაკუთრებული ყურადღება; 5. საინფორმაციო-ტექნოლოგიურმა ცენტრმა საგანგებო საკონსულტაციო ბმულზე შექმნა ელექტრონული სწავლების განსახორციელებლად, რათა ლექცია-სემინარები სრულყოფილად ჩატარებულიყო; 6. დისტანციური სწავლების დადებითი მხარეა ისიც, რომ სტუდენტის ან პროფესორის მსუბუქად შეუძლოდ ყოფნის დროს უმეტესად ლექცია-სემინარი იშვიათად ცდებოდა; 7. უთუოდ უნდა აღინიშნოს ერთი სასიამოვნო ფაქტი, რაც თითქმის ყველა პროფესორ-მასწავლებელმა აღიარა; ესაა სალექციო კურსების ელექტრონული ვერსიების მომზადება, რასაც ძალიან დიდი ძალისხმევა, შრომა და სჭირდება, მაგრამ ყველანაირად უნდა იყოს ფაქტის წინაშე: სტუდენტებს არ ჰქონდათ წვდომა ყველა იმ სამეცნიერო ლიტერატურაზე, სახელმძღვანელოზე, რაც აუცილებელია ნებისმიერ საგანში. ამან გამოიწვია სწორედ სრულყოფილი სალექციო კურსების ჩამოყალიბება. ამ რთულ და შრომატევად სამუშაოს თავი გავართვით და სტუდენტებს ვაწვდინეთ სილაბუსის ყველა საკითხის შესახებ სალექციო კურსის მასალას; 8. დისტანციურმა ურთიერთობამ სამეცნიერო კონფერენციების გამართვა ვერ დააბრკოლა, ონლაინ-კონფერენციები არანაკლები ინტენსივობით და აქტიურობით ტარდება, ვიდრე ჩვეულებრივი პირობების დროს.

კიდევ რამდენიმე ყველასთვის მნიშვნელოვან ფაქტზე მივნიშნავ, კოლეგის ბოლო დღე სამსახურში, სხვადასხვა ტიპის გადალახვა კენები. ეს ფაქტორები ადამიანს მუშაობისას კონცენტრაციას აკარგვინებს, რაც მისი მუშაობის ხარისხის შემცირებას იწვევს. ამიტომ იგი სახლიდან მუშაობას ეფექტურად მიიჩნევს. მისივე განცხადებით, სახლიდან მუშაობის შედეგად თანამშრომლები უფრო მეტად პროდუქტიულები არიან; 2. შინ მუშაობისას ნებისმიერი პროფესიონალი ადამიანი სალექციო კურსის წარმართვისას უკეთაა კონცენტრირებული და შესაძლებლობა აქვს თვალსაჩინოების სახით გამოიყენოს საკუთარი ბიბლიოთეკის ის იმეათი წიგნები, რომლებიც სტუდენტმა შესაძლოა ბიბლიოთეკაში ვერ ნახოს; 3. სტუდენტებმა, პროფესორ-მასწავლებლებმა, ადმინისტრაციის თანამშრომლებმა უდიდესი სამუშაო გასწიეს ონლაინ სწავლების პლატფორმების ასათვისებას, რაც შესაძლებელი გახდა უნივერსიტეტის საინფორმაციო სისტემის თანამშრომელთა მუშაობისა და დახმარების შედეგად; შეიქმნა ყველა სტუდენტის, პროფესორ-მასწავლებლის, ადმინისტრაციის თანამშრომლის ელფოსტა, პაროლი, ყველა საგნის სასწავლო ჯგუფები მუდლის პროგრამა-

ში; აქვე აღვნიშნავ, რექტორატმა და ადმინისტრაციამ სხვა პლატფორმებით, კერძოდ, მე-სენჯერით, სკაიპით, ზუმით მუშაობის შესაძლებლობაც მოგვცა; 4. უნივერსიტეტმა ინტერნეტის საფასური გადაუხადა იმ სტუდენტებს, რომელთა ოჯახებს საამისო ეკონომიური საშუალება არ ჰქონდა; ვისაც კომპიუტერის უქონლობის გამო არ შეეძლო ლექციებზე დასწრება, უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხვითი კომპიუტერი გადასცა დროებით, რათა შესაძლებლობა მისცემოდათ სრულფასოვანი განათლების მისაღებად; პანდემიამდე დისტანციურ სწავლებას არ ექცეოდა განსაკუთრებული ყურადღება; 5. საინფორმაციო-ტექნოლოგიურმა ცენტრმა საგანგებო საკონსულტაციო ბმულზე შექმნა ელექტრონული სწავლების განსახორციელებლად, რათა ლექცია-სემინარები სრულყოფილად ჩატარებულიყო; 6. დისტანციური სწავლების დადებითი მხარეა ისიც, რომ სტუდენტის ან პროფესორის მსუბუქად შეუძლოდ ყოფნის დროს უმეტესად ლექცია-სემინარი იშვიათად ცდებოდა; 7. უთუოდ უნდა აღინიშნოს ერთი სასიამოვნო ფაქტი, რაც თითქმის ყველა პროფესორ-მასწავლებელმა აღიარა; ესაა სალექციო კურსების ელექტრონული ვერსიების მომზადება, რასაც ძალიან დიდი ძალისხმევა, შრომა და სჭირდება, მაგრამ ყველანაირად უნდა იყოს ფაქტის წინაშე: სტუდენტებს არ ჰქონდათ წვდომა ყველა იმ სამეცნიერო ლიტერატურაზე, სახელმძღვანელოზე, რაც აუცილებელია ნებისმიერ საგანში. ამან გამოიწვია სწორედ სრულყოფილი სალექციო კურსების ჩამოყალიბება. ამ რთულ და შრომატევად სამუშაოს თავი გავართვით და სტუდენტებს ვაწვდინეთ სილაბუსის ყველა საკითხის შესახებ სალექციო კურსის მასალას; 8. დისტანციურმა ურთიერთობამ სამეცნიერო კონფერენციების გამართვა ვერ დააბრკოლა, ონლაინ-კონფერენციები არანაკლები ინტენსივობით და აქტიურობით ტარდება, ვიდრე ჩვეულებრივი პირობების დროს.

კიდევ რამდენიმე ყველასთვის მნიშვნელოვან ფაქტზე მივნიშნავ, კოლეგის ბოლო დღე სამსახურში, სხვადასხვა ტიპის გადალახვა კენები. ეს ფაქტორები ადამიანს მუშაობისას კონცენტრაციას აკარგვინებს, რაც მისი მუშაობის ხარისხის შემცირებას იწვევს. ამიტომ იგი სახლიდან მუშაობას ეფექტურად მიიჩნევს. მისივე განცხადებით, სახლიდან მუშაობის შედეგად თანამშრომლები უფრო მეტად პროდუქტიულები არიან; 2. შინ მუშაობისას ნებისმიერი პროფესიონალი ადამიანი სალექციო კურსის წარმართვისას უკეთაა კონცენტრირებული და შესაძლებლობა აქვს თვალსაჩინოების სახით გამოიყენოს საკუთარი ბიბლიოთეკის ის იმეათი წიგნები, რომლებიც სტუდენტმა შესაძლოა ბიბლიოთეკაში ვერ ნახოს; 3. სტუდენტებმა, პროფესორ-მასწავლებლებმა, ადმინისტრაციის თანამშრომლებმა უდიდესი სამუშაო გასწიეს ონლაინ სწავლების პლატფორმების ასათვისებას, რაც შესაძლებელი გახდა უნივერსიტეტის საინფორმაციო სისტემის თანამშრომელთა მუშაობისა და დახმარების შედეგად; შეიქმნა ყველა სტუდენტის, პროფესორ-მასწავლებლის, ადმინისტრაციის თანამშრომლის ელფოსტა, პაროლი, ყველა საგნის სასწავლო ჯგუფები მუდლის პროგრამა-

პირველი გვერდიდან

– ბატონო როინ, გილოცავთ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერის) თანამდებობაზე მეორე ვადით არჩევას. აკადემიურმა საბჭომ ერთხმად გამოგიცხადათ მხარდაჭერა. როგორ ფიქრობთ, რა არის თქვენ მიერ წარდგენილი სამოქმედო გეგმის ძლიერი მხარე?

– პირველ რიგში, მაგლობა მინდა გადავუხადო რექტორს, აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოს ყველა წევრს, რომლებმაც სრული მხარდაჭერა და ნდობა გამოგიცხადეს – მომდევნო ოთხი წელი კვლავ ვიყო სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი. მაგლობა მინდა გადავუხადო გუნდის წევრებს, რომლებიც აქტიურად იყვნენ ჩართულნი გასული წლების საუნივერსიტეტო აქტივობებში.

ვფიქრობ, ჩემი წარმატების წინაპირობა იყო არამხოლოდ სამოქმედო გეგმა, არამედ გავლილი ოთხი წლის შედეგების ანალიზი: დამოუკიდებელი აუდიტის დადებითი დასკვნები; წარმომადგენლობითი საბჭოს მხრიდან კანცლერის ყოველწლიური ანგარიშების შეფასებები და გამოცხადებული მაგლობა; ავტორიზაციის პროცესში ჩართულობისთვის ექსპერტების მხრიდან განსაკუთრებული მაგლობა და გაკეთებული ყველა ის საქმე, რაც წინაპირობა იყო უნივერსიტეტის წარმატებული ავტორიზაციისთვის. სამწუხაროდ, მეოთხე წლის აქტიური დრო პანდემიასთან ბრძოლის პრევენციებს მოვხმარეთ.

პირადად ვიყავი ჩართული უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმის შემუშავებაში და კარგად ვიცნობ უნივერსიტეტის საჭიროებებს. ვხედავ და ვაცნობიერებ მის წინაშე მდგარ გამოწვევებსა და პრობლემებს, შესაბამისად, სამოქმედო გეგმაში მაქვს ასახული მათი გადაჭრის გზების კონკრეტული ხედვა.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უპირველესი ზრუნვის საგანი და პრიორიტეტი უნდა იყოს უნივერსიტეტში სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებელთათვის საუკეთესო სამუშაო გარემოს შექმნა და მათი საქმიანობისთვის ხელშეწყობა.

ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოების ძირითადი რესურსია ცოდნის შექმნა, შენარჩუნება და გადაცემა, რაც მხოლოდ სწავლისა და კვლევის ერთიანობითაა შესაძლებელი, ეს კი აკადემიური პერსონალის უპირველესი მოვლეობაა.

სწავლების ყველა საფეხურზე, შესაბამისი დონით, კვლევაზე დაფუძნებული განათლების მეშვეობით, სტუდენტს თუ განუვითარებთ ანალიტიკურ უნარებსა და ინოვაციურ აზროვნებას, ის კონკურენტუნარიანი იქნება შრომის ბაზარზე. სწორედ ასეთი კადრი სჭირდება თანა-

მედროვე საზოგადოებას, რომელზეც მომავალი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარება დამოკიდებულია.

– თქვენ ბრძანდებით ადმინისტრაციული მმართველი ფინანსური, მატერიალური და ადამიანური რესურსების სფეროში. რომ გვითხრათ, დაგეგმილი ბიუჯეტიდან რისი გაკეთება მოხერხდება? რა გეგმები დასახეთ უნივერსიტეტის სამომავლო განვითარებისთვის?

– ადმინისტრაციული მმართველობითი 28 წლიანი და სამეცნიერო და პედაგოგიური 14 წლიანი პროფესიუ-

სწავლის საფასურის გადასახადებით შეუძლებელია იმ აუცილებელი ხარჯების დაფინანსება, რომელიც გადაუდებლად აუცილებელია უნივერსიტეტის განვითარებისთვის.

ადმინისტრაციის ადამიანური რესურსის ეფექტურად მართვისათვის აუცილებელია ადმინისტრაციის სტრუქტურის ყველა დონეზე ეტაპობრივი ოპტიმიზაცია, შიდა კონტროლის მექანიზმის სრულყოფა და პასუხისმგებლობის კულტურის ამაღლება. ამ მიზნით განხორციელდება თვითშეფასებისა და მონიტორინგის პროცესი, რა-

სავე, დამონტაჟდა ვიდეოსაკონტროლო კამერები. მეორე კორუსში მოხდა ნული სართულის სრული რეაბილიტაცია და მოეწყო 8 კლას-ლაბორატორია ვეტერინარიის პროგრამის განსახორციელებლად. პროფესიული სასწავლებლის სტუდენტებისათვის მოეწყო ქიმიისა და ფიზიკის ლაბორატორია, აღიჭურვა კლას-ლაბორატორიები. კლინიკის მშენებლობისათვის განხორციელდა მოსამზადებელი სამუშაოები, სამუშაოების განახლება გაინერება შემდეგი წლის გეგმაში.

პანდემიის გამო გადაიდო

პრიორიტეტი კვლავაც იქნება შრომის ანაზღაურების ეტაპობრივი ზრდა.

ვფიქრობ, უდიდესი პასუხისმგებლობა მეკისრება უნივერსიტეტისა და საზოგადოების წინაშე. ამიტომ, ყოველი გადაწყვეტილება, რომელსაც მივიღებ, ყოველი ლარი, რომელსაც განვკარგავ, იქნება გამჭვირვალე, მოემსახურება აკადემიური პერსონალის, სტუდენტებისა და საუნივერსიტეტო ინტერესებს.

– პანდემიის პირობებში მოგეხება ახალ რეალობასთან შეგუება. როგორია ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ხედვა ამ კუთხით უნივერსიტეტის ფუნქციონირების საკითხში?

– მსოფლიოსათვის და, მათ შორის, საქართველოსთვისაც კოვიდ-19-ით გამოწვეული პანდემია, რომელმაც განსაკუთრებული მასშტაბები შეიძინა და სრულიად შეცვალა ჩვენი ცხოვრების ყოველდღიური რიტმი, ერთგვარ გამოცდად იქცა და განსაკუთრებული გამოწვევების წინაშე დაგვადგინა. პანდემიამ დიდი გავლენა იქონია თითქმის ყველა სფეროზე. გამონაკლისი არც განათლების სისტემა აღმოჩნდა. უნივერსიტეტში შემუშავებულია ბიზნესუწყვეტობის სამოქმედო გეგმა, შექმნილია შესაბამისი კომისია; ყველა პრევენციული ღონისძიება, დადგენილი რეკომენდაციის შესაბამისად, უზემინვენიტ შესრულებულია, რისი შედეგიცაა, რომ საქართველოში მხოლოდ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი ახორციელებს სასწავლო პროცესს შერეული მეთოდით. რაც შეეხება სასწავლო პროცესის დისტანციურ სწავლებაზე გადასვლას, განხორციელდა პრობლემების გარეშე, ვინაიდან ელექტრონული სწავლების მეთოდები პანდემიამდეც იყო დანერგილი უნივერსიტეტში.

დისტანციურ სწავლებაზე გადასვლამ სტუდენტთა გარკვეულ ნაწილს შეუქმნა პრობლემები (ინტერნეტკავშირის), რაც გამოწვეული იყო პანდემიასთან დაკავშირებული ეკონომიკური მდგომარეობით. უნივერსიტეტმა ასეთ სტუდენტებს ჩაურთვა ინტერნეტკავშირის თანხა. რამდენიმე სტუდენტს, დროებით სარგებლობაში, გადასცა კომპიუტერული ტექნიკა, რითაც ამ ეტაპზე აღნიშნული პრობლემები მოგვარებულია. მინდა მოვუწოდო ყველას, გაუფრთხილდნენ საკუთარსა და სხვის ჯანმრთელობას, რათა საფრთხეში არ ჩაადგონ ადამიანისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი – სიცოცხლე. ვიმედოვნებ, მალე დადგება ის დღე, როდესაც სტუდენტები და აკადემიური პერსონალი დაუბრუნდებიან საყვარელი უნივერსიტეტის მონატრებულ აუდიტორიებს.

– მაგლობა, ბატონო როინ, საინტერესო საუბრისთვის.

ინტერვიუერი  
ლიპა ზაზუშვილი

# უნივერსი საზრუნავი – სტუდენტისა და პროფესორ-მასწავლებლისთვის საუკეთესო საუშაო გარემოს შექმნა

ლი საქმიანობები, ძირითადად, დაკავშირებულია ფინანსების, ადამიანური და მატერიალური რესურსების მართვასა და სამართლებრივი მექანიზმების საკითხებთან, რაშიც საკმაოდ დიდი ცოდნა და გამოცდილება დამიგროვდა. ყოველივე ეს კი ეფექტური ადმინისტრირების საფუძველია.

ადმინისტრაციის მიერ ეტაპობრივად შეისწავლება მიზანშეწონილობა, არის თუ არა მიღწეული წინასწარ განსაზღვრული მიზნები. ამისათვის უნდა მოხდეს საბოლოო შედეგისა და დასახული მიზნის შედარება და განისაზღვროს გამოყენებული საშუალებების როლი დასახული მიზნების მიღწევის პროცესში. მიღწეულ იქნა თუ არა მიზანი გონივრული დანახარჯებით (ფინანსური, შრომითი, სამართლებრივი და სხვა საშუალებები) დადგენილ ვადებში, გამოვლინდება დასახული მიზნის მიღწევის პროცესში ხელისშემშლელი ფაქტორები და ალტერნატიული მიდგომები.

უნივერსიტეტის ფინანსური რესურსების ფორმირება ძირითადად ხდება ეკონომიკური შემოსავლებით: სწავლის ქირა, სასწავლო გრანტი. ამ მიმართულებით ადმინისტრაციული საქმიანობა ორიენტირებული იქნება გარე სპონსორების მოძიებაზე, ადგილობრივი მმართველობითი ორგანოების აქტიურ ჩართულობაზე, ასევე, სხვა ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული საქმიანობის გაფართოებაზე, ვინაიდან მხოლოდ

თა სრულფასოვნად დაავადგინოთ მართვაში არსებული ხარვეზებისა და პრობლემათა წარმოშობისა და არსებობის მიზეზ-შედეგობრიობა, შევიშაოთ ხედვები პრობლემათა დაძლევის გზებთან დაკავშირებით. ამის შემდეგ უმოკლეს ვადაში განხორციელდება ადმინისტრაციული

გათბობის შიდა ქსელის რეაბილიტაცია, რომელიც 2021 წლის გაზაფხულზე იგეგმება. მესამე სასწავლო კორპუსში, შემჭიდროებულ ვადებში, განხორციელდა მეოთხე კორპუსის საპროექტო სამუშაოები. ამჟამად მიმდინარეობს მე-4 კორპუსის რეაბილიტაცია, სადაც პროფესიული პროგრამები განხორციელდება.

სამომავლოდ პირველ სასწავლო კორპუსში დარჩენილ ოთახებზე იგეგმება მეტალოპლასტიკის ფანჯრების მონტაჟი, მუზეუმის გაფართოება, საგამოფენო დარბაზის მოწყობა, საკონფერენციო დარბაზის მოწყობა, სტამბის გადაიარაღება. მესამე სასწავლო კორპუსში დაგეგმილია ქვანახშირის ქვების ჩანაცვლება ბუნებრივ აირზე მომუშავე ქვებით; ლიფტის მონტაჟი; სახანძრო უსაფრთხოების სიგნალიზაციის სისტემის მონტაჟი.

და დამხმარე პერსონალის კონკურსები, საჯაროობისა და გამჭვირვალობის სრული უზრუნველყოფით.

უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მოიცავს 4 სასწავლო კორპუსს, მათ შორის, ორს ახალქალაქში და ორ საერთო საცხოვრებელს ახალქალაქსა და ახალციხეში. მოკლედ წარმოგვიგენტ ადმინისტრაციის ხელმძღვანელად მუშაობის პროცესში განხორციელებულ აქტივობებს.

პირველ და მეორე კორპუსში მოეწყო პანდუსი და სველი ნერტილი შშმ პირებისათვის, დამონტაჟდა ლიფტი.



# სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში აცხადებს მიღებას სალოტრო პროგრამებზე

აგრონომიის (1 ადგილი);  
ინფორმატიკის (1 ადგილი).  
პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება კონკურსის (გამოცდა სპეციალობაში) საფუძველზე.  
**წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა**  
1. განცხადება (ჩამოტვირთეთ განცხადების ფორმა);  
2. ავტობიოგრაფია (CV) (ჩამოტვირთეთ CV-ის ფორმა);  
3. აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული მაგისტრის (ან მასთან გათანაბრებული) ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ნოტარიულად დამოწმებული ასლი ან ცნობა ხარისხის მინიჭების შესახებ, თუ დიპლომი ჯერ არ არის გაცემული. მაგისტრთან გათანაბრებული დიპლომის (ხუთწლიანი დიპლომის) წარმოდგენის შემთხვევაში აუცილებელია მაგისტრთან გათანაბ-

რების აღიარება ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან;  
4. შერჩეული კვლევითი თემის კონცეფცია;  
5. პირადობის მოწმობის (პასპორტის) ასლი;  
6. ფოტოსურათის (3X4) ელექტრონული ვერსია;  
7. გამოქვეყნებული შრომების სია (ასეთის არსებობის შემთხვევაში);  
8. ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდ-


ნის დამადასტურებელი სერტიფიკატი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) /ინგლისურენოვანი პროგრამის დამთავრების დიპლომი;  
9. ქართული ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ქართულენოვანი პროგრამის დამთავრების დიპლომი (დოქტორანტი-ის უცხოენოვანი კანდიდატისათვის).

საკონტაქტო ტელეფონი: 577 97 77 84.  
ელ-ფოსტა: mpt7777@gmail.com

შენიშვნა: კონკურსანტებისათვის, რომელთაც არ ექნებათ წარმოდგენილი უცხოური ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი, ინიშნება გამოცდა უცხოურ ენაში/ქართულ ენაში. გამოცდებს ჩაიბარებს უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრი.  
დოქტორანტურაში სწავლის მსურველთა საბუთების მიღება იწარმოებს 01 დეკემბრიდან 30 დეკემბრის ჩათვლით, ელექტრონულად.  
(დოკუმენტაციის ასატვირთად აუცილებელია კონკურსანტი დარეგისტრირებული იყოს gmail-ის ელ.ფოსტაზე).  
გამოცდა სპეციალობაში ჩატარდება (ელექტრონულად) 2021 წლის 22 იანვარს, 12 საათზე.  
გამოცდა უცხო ენაში (ინგლისური, გერმანული) ჩატარდება (ელექტრონულად) 2021 წლის 25 იანვარს, 12 საათზე.

● **6 ნოემბერი**, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა **რევაზ ჭილაძემ**, სტუდენტებისთვის გამართა პრეზენტაცია თემაზე **„ქართული სახელწოდების მცირე პლანეტები“**.  
ონლაინ შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა შემდეგ საკითხებზე:  
- პლანეტების აღმოჩენის ისტორია;  
- როგორ ენიჭება პლანეტებს სახელები;  
- პლანეტებისა და ასტეროიდების მახასიათებლები;  
- მზის სისტემის მცირე სხეულების კატეგორიზაცია და დასახელება.  
შეხვედრა ინტერაქციულად მიმდინარეობდა და მონაწილეებმა მათთვის საინტერესო შეკითხვებზე მიიღეს პასუხი.

● **26 ნოემბერი**, გაიმართა პრეზენტაცია წიგნი – **„მათემატიკური მოდელირება მცენარეთა დაცვის საკითხებში“**, რომლის ავტორები არიან სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **გურამ ალექსიძე** და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინჟინერიის, აგრორულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი **ლერი ნოზაძე**.  
შეხვედრა გახსნა და წარმართა რექტორის მოადგილემ სამეცნიერო დარგში, პროფესორმა მერაბ ბერიძემ.  
წიგნი გამოიცა ინგლისურ ენაზე გერმანიაში და დაგეგმილია 6 ენაზე მისი თარგმანი.



პრეზენტაციას ესწრებოდნენ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები.  
შეხვედრა გაიმართა ახლად დაარსებულ აუდიტორიაში, რომელიც მოეწყო და აღიჭურვა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ.

● **4 დეკემბერი**, პლატფორმა zoom-ის საშუალებით, გაიმართა ვეტერინარიის ინტეგრირებული სა-მაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის, პროფესორ **ლევან მაკარაძის** ლექცია, რომლის თემაც გახლდათ თანამედროვე ვეტერინარიის ძირითადი გამოწვევები და მიდგომები – **„დავიცვათ ცხოველების ჯანმრთელობა და შევინარჩუნოთ ჩვენი მომავალი“**.

პროფესორის მიერ დეტალურად იქნა წარმოჩენილი და გაანალიზებული საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა ვეტერინარიის სფეროში ასოცირების ხელშეკრულების დადებამდე და მას შემდეგ, კერძოდ:  
- საკანონმდებლო და ნორმატიული დოკუმენტაციის შექმნა და მისი მნიშვნელობა ვეტერინარიაში რეფორმების გატარებაში;  
- ერთიანი ჯანდაცვის კონცეფცია და მისი როლი – „ერთი მსოფლიო, ერთიანი ჯანდაცვა“;  
- ბიოლოგიური უსაფრთხოება და ვეტერინარული ზედამხედველობის მნიშვნელობა;  
- ცხოველთა კეთილდღეობის დაცვა;  
- დაავადებისაგან თავისუფალი ქვეყნის სტატუსის მოპოვება;  
- ცხოველთა დაავადებების რისკების შეფასება და კონტროლი;  
- ვეტერინარული განათლება და კვალიფიკაციის კადრების მომზადება და სხვა.

შეხვედრა ინტერაქციულ რეჟიმში მიმდინარეობდა და მონაწილეებმა მათთვის საინტერესო შეკითხვებზე მიიღეს პასუხი.

● **9 დეკემბერი**, ქალაქ ახალციხის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ორგანიზებით, პროგრამა თეამს-ის საშუალებით, ჩატარდა საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა, რომელსაც ქალაქ ახალციხისა და ახალციხის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის დირექტორები და მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა **მაკა ბერიძემ** საუნივერსიტეტო სიახლეების შესახებ ისაუბრა, ქალაქ ახალციხის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის ხელმძღვანელმა **ნათუნა ხმალაძემ** ყურადღება გაამახვილა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომლობის მნიშვნელობაზე და აუცილებლობაზე.

შეხვედრა ინტერაქციულ რეჟიმში წარმართა, მაკა ბერიძემ მოსწავლეების მიერ დასმულ შეკითხვებს უპასუხა და დეტალურად მიანოდა ინფორმაცია აქტიუ-ალურ საკითხებზე საგანმანათ-ლებლო მიმართულებით. აღნიშნუ-ლი შეხვედრა მოსწავლეებს მომავალში პროფესიული არჩევანის გაკეთებაში დაეხმარება.

შეხვედრა ემსახურება სასკოლო და უმაღლესი დაწესებულებების წარმომადგენლებს შორის ურთიერთანამშრომლობის ხელშეწყობას, მოსწავლეების ინტერესებიდან გამომდინარე, ინფორმაციის მიწოდებას სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიახლეების შესახებ, ქალაქ ახალციხისა და ახალციხის მუნიციპალიტეტის სა-ჯარო სკოლებში მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სისტემის ხელშეწყობის დახერხვა-გაძლიერებას.

## ინფორმაცია

საინფორმაციო შეხვედრა მომავალშიც გაიმართება.

● **11 დეკემბერი**, პლატფორმა Zoom-ის საშუალებით, გაიმართა პროფესორ **ნატო ყრუაშვილის** სა-ჯარო ლექცია თემაზე **„ცნობილი მესხი მოღვაწეები“**.  
ლექციის განმავლობაში მსმენელებმა ინფორმაცია მიიღეს სტამბოლში არსებულ ქართველ კათოლიკეთა საგანგებო მოღვაწე პირთა შესახებ.

● **23 დეკემბერი**, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურისა და ქალაქ ბორჯომის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ორგანიზებით გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა.



პროგრამა Teams-ის საშუალებით უნივერსიტეტის რექტორმა **მაკა ბერიძემ** სასწავლებელში მიმდინარე სიახლეები ქალაქ ბორჯომის და ბორჯომის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის დირექტორებსა და მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენლებს გააცნო.

ქალაქ ბორჯომის საგანმანათ-ლებლო რესურსცენტრის დირექტორმა **იზოლდა ლომიძემ** უნივერსიტეტისა და სკოლების ურთიერთობის აუცილებლობასა და მნიშვნელობაზე ისაუბრა.

შეხვედრა ინტერაქციულ რეჟიმში წარმართა. აღნიშნული შეხვედრა მოსწავლეთა მომავალში პროფესიული არჩევანის გაკეთებაში დაეხმარება.

● **23-25 დეკემბერი**, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები მონაწილეობდნენ ონლაინ კურსში **„საქართველოში რეგიონული უნივერსიტეტებისათვის ევროკავშირის სასწავლო მოდული და ევროკავშირის შესახებ მასობრივი ლაიონლაინ კურსის (MOOC) შექმნა“**.  
ლექციები ჩატარდა შემდეგ საკითხებზე:



ევროკავშირის ისტორია – მომხსენებელი ლევან მახაშვილი, შავი ზღვის უნივერსიტეტის მიწვეული პროფესორი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის კაბინეტის ხელმძღვანელის მოადგილე;

ევროკავშირის ინსტიტუტები და გადამწყვეტილების მიღების პროცესი – მომხსენებელი სერგი კაპანაძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის და კავკასიის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ჟან მონეს პროფესორი; ევროპული ფასეულობები და ევროკავშირის საგარეო პოლიტიკა – მომხსენებელი ეკა აკობია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი და კავკასიის უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის სკოლის დეკანი;

საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები – მომხსენელი კახა გოგოლაშვილი, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის (რონდელის ფონდი) ევროპული კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი; საქართველოსა და ევროკავშირის შორის უვიზო მიმოსვლა – მომხსენებელი ივანე ჩხიკვაძე, ფონდი ლია საზოგადოება საქართველოს ევროინტეგრაციის პროგრამის ხელმძღვანელი.

ონლაინ კურსი საქართველოს რეფორმების ასოციაციამ (GRASS) Erasmus + პროგრამის ფარგლებში განახორციელა, რომლის მიზანია თბილისის გარეთ, რეგიონებში მდებარე უნივერსიტეტებში, ხელი შეუწყოს ევროკავშირის შესახებ ცოდნისა და ცნობიერების ამაღლებას.

● **სამომავალში** საზოგადოების სკოლის მიერ გამოცხადებულ ესკეების კონკურსში, რომელიც გულისხმობს ახალგაზრდებში ყუენალისტიკის განვითარებას ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში, გამარჯვება სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის

იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტმა **ქრისტინა კაზარიაძემ** მოიპოვა.  
წინონმდის მუნიციპალიტეტიდან, კიდევ ერთ გამარჯვებულ ახალგაზრდასთან ერთად, ქრისტინამ მოიპოვა 500 ლარიანი მიკრო-გრანტი, რომლის ფარგლებშიც ახალგაზრდები იმუშავებენ სა-მოქალაქო საზოგადოების სფეროს განვითარების საკითხებზე. ასევე, გამარჯვებულებს გადაეცათ 100 ლარიანი სასაჩუქრე ვაუჩერი.

● **სამცხე-ჯავახეთის** სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები **ანა არტუთიანი** და **მიმო დარბაძე** კონკურსის გამარჯვებულები არიან.



ანა იურიდიული ფაკულტეტის სამართლის სპეციალობის მე-4 კურსის სტუდენტია, ხოლო მიმო განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის მე-3 კურსზე სწავლობს.

„მოგონებებში შემორჩენილი ტრადიციები – რეპატრირებული მესხები“ – ასე ჰქვია ანასა და მიმოს ნამუშევარს, რომელიც მუსლიმი და ქრისტიანი მესხების საერთო ტრადიციებზე მოგვითხრობს.

ესსეების და რეპორტაჟების კონკურსი გაიმართა მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის და კონრად ადლერის ფონდის წარმომადგენლობის ორგანიზებით, „მსოფლიო რელიგიათა კლუბის“ ფარგლებში.

ინფორმაციები უნივერსიტეტის facebook-ის გვერდიდან

ინტერვიუ პროფესორ რეინო ხავერდიშვილთან

ბატონო რეინო, თქვენ ამჟამად იყოფებით ყარსის კავკასიის უნივერსიტეტში, სადაც მრავალფეროვან მოღვაწეობას ეწეებით. ვიდრე თქვენს ამჟამინდელ საქმიანობაზე მოგვიყვებით, მევახსენოთ ჩვენს მკითხველს, საიდან იღებთ სათავეს ჩვენი უნივერსიტეტისა და თურქეთის უნივერსიტეტებს შორის ურთიერთობა.

მოგესხენებათ, მე მინვეული პროფესორი ვიყავი არტაანის უნივერსიტეტში 2018 წელამდე. 2020 წლის იანვრიდან ყარსის კავკასიის უნივერსიტეტში, ასევე, ხელშეკრულების ფორმით, მომიწევია. ამ უნივერსიტეტთან დიდი ხნის ურთიერთობა მაკავშირებს, ჯერ კიდევ 1999 წლიდან. ცნობილი ამბავია, რომ ვატარებდით ერთობლივ სიმპოზიუმებს; მაშინ თსუ ახალციხის ფილიალი გახლდათ. 2001-2003 წლებში, გაზაფხულის პერიოდში, მე ჩამოვდიოდი აქ, ერთი თვის განმავლობაში მქონდა ლექციები ისტორიის მიმართულებით. შემდეგ უკვე, კოლეგიალურად, მიწვევდნენ კონფერენციებში, სიმპოზიუმებში მონაწილეობისათვის.

2006 წელს ყარსის კავკასიის უნივერსიტეტში დაარსდა ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილება. ამ საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის იმდროინდელ ჩვენს ფილიალს. იდეა მაშინ დაიბადა, როდესაც ყარსის უნივერსიტეტის რექტორი ნეჯათი ქაია და სხვა რექტორები იყვნენ ჩვენთან ჩამოსულები. მათ ნახეს ჩვენს ფილიალში არსებული თურქული ენისა და ლიტერატურის განყოფილება და იდეა შესთავაზეს ფილიალის დირექტორს, პროფესორ მერაბ ბერიძეს, დახმარებოდა მათ უნივერსიტეტში ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილების შექმნაში. ასე დაიწყო ჩვენი ურთიერთობები. მაშინ, გარკვეულწილად, ისინი ჩვენს განყოფილებას შეეწივნენ, წიგნები გადმოგვცეს, ჩვენც გავუზაგანეთ ლიტერატურა თავის დროს.

დღეს განყოფილების გამგე გახლავთ ჩვენი უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, ფილოლოგიის დოქტორი მაია მესხიძე, რომელმაც წარმატებით დაიცვა ერზურუმის ათათურქის უნივერსიტეტში დისერტაცია საინტერესო თემაზე: „ქართული გრაფიკით თურქულ ენაზე შესრულებული სახარება: ტექსტი, გამოკვლევა და ლექსიკონი“. მაია მას შემდეგ მუშაობს ყარსის უნივერსიტეტში, რაც მაგისტრატურა დაასრულა ანკარაში... განყოფილებას დასჭირდა კიდევ ერთი პროფესორი და მე მთხოვეს. უარი არ მიმიტყა. გავაფორმეთ ხელშეკრულება. რადგან ვითარება ითხოვს – იმისათვის, საქმე რომ არ ჩავარდეს, მინიმუმ სამი პროფესორი უნდა ჰყავდეს განყოფილებას, ამიტომ კიდევ ერთი წლით გავაგრძელებ ხელშეკრულებას. ასე რომ, მე და ჩემი კოლეგები, ყოველწლიურად ვეცდებით, ეს განყოფილება რომ არსებობდეს, გააგრძელოს ფუნქციონირება.

უნდა აღვნიშნო, რომ განყოფილება არის წარმატებული, მიუხედავად ბევრი ბიუროკრატიული თუ სხვა სახის სიძნელისა. ორმა კურსდამთავრებულმა უკვე დაიცვა სადოქტორო დისერტაცია საქართველოში. ერთი მათგანი მუშაობს ამ უნივერსიტეტში, ხოლო მეორე რიზეს უნივერსიტეტში, ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილების გამგედ; ერთი კურსდამთავრებული უახლოეს მომავალში ანკარაში დაიცავს სადოქტოროს თურქი მთარგმნელების მიერ ქართველი ავტორების რომანების თარგმანებთან დაკავშირებით. განყოფილების წარმატებაზე ისიც მეტყველებს, რომ საკმაოდ ბევრი კურსდამთავრებული ჰყავს. მათი ნაწილი უკვე სწავლობს სამაგისტრო პროგრამებზე საქართველოში, ზოგიც – თურქეთში. ასე რომ, იდეა, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა 2000-იანის დასაწყისში, ნელა-ნელა, მაგრამ მაინც ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევა წინ. მე ერთ-ერთი მონაწილე ვარ ამ იდეის განხორციელებისა და მის მხარდასაჭერად წამოვედი ყარსში. არა მგონია, ეს მაღალფარდოვან სიტყვებად უღერდეს, ნამდვილად ამ მიზნით ჩამოვედი. სხვაგვარად, ძნელია მუდმივად გზაში იყო, მუდმივად საქმეს უჯდებო, მუდმივად გქონდეს ინტერნეტი ჩართული და მუდმივად საუბრობდე, მაგრამ საჭიროა, კიდევ ერთხელ მივეხმაროთ ამ განყოფილებას. მერე მოვლენ ახალგაზრდები, ვინც დაიცავენ სადოქტორო ნაშრომებს საქართველოში ან თურქეთში, ჩართვებიან ამ საქმეში და განყოფილება გააგრძელებს ნაყოფიერ მუშაობას. შემდეგ, უკვე, პერმანენტულად მოხდება დახმარების განცევა.

თქვენ ახსენეთ დღეს უნივერსიტეტი; თურქეთის კიდევ რომელ უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილება?

არტაანის უნივერსიტეტში განყოფილება მე გავესენი, 2012 წელს. ახალქალაქში გახლდათ უმაღლესი სასწავლებლის რექტორი მაშინ, როდესაც არტაანის უნივერსიტეტის რექტორმა რამაზან ქორქმაზმა ჩვენი შეხვედრების დროს მთხოვა, მათ უნივერსიტეტში ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილების დაარსებაში მივეხმარებოდი. ეს იყო ისეთი წინადადება, რომელზეც, მიუხედავად ჩემი დატვირთულობისა, უარს ვერ ვიტყვოდი. როდესაც ადამიანი გეუბნება – შენი ენისა და ლიტერატურის განყოფილების დაარსება მინდა ჩემს უნივერსიტეტში, უკან ვერ დაიხვე. ამიტომ, იმ ფორმალობებისთვის, რაც გასავლელი იყო, დოკუმენტაციის მოწესრიგებას ვგულისხმობ, ჩავდიოდი არტაანში. ჩვენ უკვე გვქონდა ყარსის კავკასიის უნივერსიტეტის ანალოგიური განყოფილების პროგრამა და მსგავსი გავაკეთეთ. დიდი სამუშაოები ჩავატარეთ თურქ კოლეგებთან ერთად. პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა, 2013 წელს მივიღეთ სტუდენტები და მეც არტაანის უნივერსიტეტში წავედი ხელშეკრულებით, ვკითხულობდი ლექციებს და ვუძღვებოდი განყოფილებას. დღესაც აგრძელებს ეს განყოფილება ფუნქციონირებას აღნიშნულ უნივერსიტეტში. მას ხელმძღვანელობს გულნარა გოჯაევა.

ამას გარდა, ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილება არის რიზეს რექტი დაამთავრა, მაგისტრატურა – თსუ-ში, დოქტორანტურა – ბათუმში. იქ არის, ასევე, დოქტორი ჰარუნ ჩიმქე, რომელმაც ქუთაისის უნივერსიტეტი დაამთავრა. სხვათა შორის, ეს პიროვნება ძალიან ნაყოფიერად მუშაობს, კარგად ფლობს ქართულს და თარგმნის ქართულ ლიტერატურას თურქულ ენაზე. ძალიან მიხარია, რომ ასეთი მთარგმნელი ჰყავს თურქულ მეცნიერებას და არის ხიდი ქართულ და თურქულ ლიტერატურას შორის. იქ ასწავლის, ასევე, სოფო მახაჭაშვილი. ასე რომ, თურქეთში ქართველოლოგიური კვლევების საქმე ფეხს იკიდებს. ბუნებრივია, ეს ახალგაზრდები მომავალში იტყვიან თავის სიტყვას. მთავარია, ახლა ჩვენ მივეხმაროთ ამ განყოფილებებს როგორც ლიტერატურით, ისე პროფესორით, მოვიზიოთ სტუდენტები საქართველოში,



„საქმე შედეგის მიხედვით, როდესაც მთელ ქალსა და პენიისს დაახლოვებ“



ჯეფ თაიფ ერდოღანის სახელობის უნივერსიტეტში. მათაც 2013 წელს მიიღეს სტუდენტები. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ასეთივე განყოფილება არსებობს ქალაქ დუსჯეს უნივერსიტეტში 2013 წლიდან; დასავლეთ თურქეთში, სტამბულსა და ანკარას შორის მდებარეობს ეს ქალაქი. საქართველოდან მინვეული პროფესორები – ნანა კაჭარავა, მაკა სალია და მორენა ლომია კითხულობენ ლექციებს ამ უნივერსიტეტში. დუსჯეს უნივერსიტეტს მაგისტრატურის განხის უფლებაც მიეცა.

რიზეს უნივერსიტეტში განყოფილების გამგე გახლავთ გიულ მუქერემ სეზგინ ოზთურქი, რომელმაც ყარსის უნივერსი-

ადგილზე გასწავლოთ ქართული ენა, გაცვლითი პროგრამების საშუალებით. ეს საქმე ორმხრივი ინტერესის სფეროს განეკუთვნება. ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში, ჯერ კიდევ თსუ-ს დაარსების დღიდან არსებული თურქული სწავლება და შემდეგ განყოფილებებამ ქცევა სხვადასხვა უნივერსიტეტში, გამოიწვია კარგი თურქოლოგიური სკოლის დაარსება. ასევე, ხელი უნდა შევუწყოთ ჩვენს სამეზობლოში კარგი ქართველოლოგიური სკოლების დაარსებას. სხვანაირად ვერ შევძლებთ ჩვენი ენისა და ლიტერატურის, ჩვენი კულტურის პოპულარიზაციას. ჩემი გამოცდილებიდან ვამბობ, პერმანენტულად არ გამოდის, უნდა ვიყოთ ჩართულები. პერმანენტულად მხოლოდ და მხოლოდ ქალაქზე დარჩება და მცირე პიარის სახე ექნება. საქმე შედეგის მიხედვითაა, როდესაც მთელ ქალასა და ენერჯის დაახლოვებ.

თქვენ ყოველთვის აქტიურ მონაწილეობას იღებდით სამეცნიერო დონის ინიციატივებში, საერთაშორისო სიმპოზიუმებში, რომლებიც საკმაო სიუხვით ტარდებოდა, გასულ წლებში, ჩვენი უნივერსიტეტის მასპინძლობითაც. სხვაგვარი წელი გვაქვს პანდემიის გამო. მიუხედავად ამისა, რას ეტყვიან ჩვენს მკითხველს ამ საკითხთან დაკავშირებით? რა მოხდა მნიშვნელოვანი თქვენი მონაწილეობით?

სანამ კოვიდპანდემია დაიწყებოდა, გასულ წელს, 3-4 დეკემბერს, თურქეთის საისტორიო საზოგადოების მასპინძლობით, ანკარაში ჩავატარეთ საერთაშორისო სიმპოზიუმი ახალი და უახლესი ისტორიის მიმართულებით, სადაც ქართველი და თურქი ისტორიკოსების გარდა მონაწილეობა მიიღო აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის კავკასიის კვლევის ინსტიტუტის დირექტორმა პროფესორმა

მუსა ქასიმლიმ; საქართველოდან, როგორც ყოველთვის, იყო ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის, სოხუმის, გორის, სამცხე-ჯავახეთისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტების წარმომადგენლობა, სულ თორმეტი მეცნიერი. ჩვენი უნივერსიტეტიდან მერაბ ბერიძე, ვასილ მოსიაშვილი, რომან გოგოლაური და მე გახლდით.

ძალიან კარგი მასპინძლობა გავგვინია თურქეთის საისტორიო საზოგადოებამ. ეს არის დიდი ორგანიზაცია, რომელიც თურქულენოვან სამყაროს იკვლევს. ძალიან კონსტრუქციულ და მეგობრულ გარემოში ჩატარდა სიმპოზიუმი. ბუნებრივია, იყო კამათი, მოგესხენებათ, კამათის გარეშე საკითხის კვლევა შეუძლებელია, მაგრამ კამათი გახლდათ აკადემიური. სიმპოზიუმი ორ დარბაზში ტარდებოდა და ორივე იყო საესე. დარბაზიდანაც და ისეა შეკითხვები, აინტერესებთ საქართველო და მისი ისტორია. არ იცნობენ საქართველოს; ვინ გაცნობდა ჩაკეტილი სივრციდან? თურქეთში ცნობილი ეთნიკური ქართველები, მაგრამ იმათ არ იციან საქართველოს ისტორია. რა ქნან? ოსმალეთის იმპერიაში იყვნენ და დღეს მხოლოდ სასაუბრო ქართული იციან, ძირითადად, აჭარული დიალექტი...

ჩვენ შევძელით, რომ ქართველი და თურქი ისტორიკოსები შეგვეხვედრებინა და ესაუბრათ ერთმანეთთან პირისპირ. ეს იყო სიმპოზიუმის არსი და მთელი დიპლომატიაც. მარტივი არ არის ამის გაკეთება. ამ საქმეს თურქეთის მხრიდან სათავეში უდგას სამსუნის 19 მაისის უნივერსიტეტის პროფესორი იბრაჰიმ თელი-ოღლუ, თურქეთის საისტორიო საზოგადოება და მასში ყოველთვის ერთგული თურქეთის წამყვანი უნივერსიტეტების პროფესორია, ვინც მუშაობს საქართველოს საკითხებზე. ამ გზით ჩვენ თურქეთიდან შემოგვავაქვს ძალიან საინტერესო და ახალი საისტორიო მასალა საქართველოს ისტორიის შესახებ, მასალა, რომლის ნაწილი უცნობი იყო ჩვენი მეცნიერებისთვის. თურქ მეცნიერებს ხელი მიუწვევბათ თავიანთ არქივებზე, რაც ჩვენთვის შეუძლებელია.

შემდეგ გამოვეცით კრებული, სადაც თავი მოიყარა სიმპოზიუმზე წარმოდგენილი ნაშრომებმა ორივე მხრივ. მე და გელა გუნიაგამ (ის ახალგაზრდა მეცნიერია, ნიჭიერი და პერსპექტიული, სტამბულის უნივერსიტეტის დოქტორანტი) ვთარგმნეთ მასალები. ძალიან პრომატევადი საქმე შევასრულეთ. 630 გვერდი გამოვიდა კრებული ორენოვანი თარგმანით. ჩვენ მესამე ენას, ქართულსა და თურქულს გარდა, არ ვიყენებთ. ტრადიცია, რომ მესამე ენა არ დაგვჭირებოდა, ჯერ კიდევ 2001 წელს დავამკვიდრეთ, როდესაც ყარსის უნივერსიტეტთან ერთად სიმპოზიუმი ჩავატარეთ. ეს ძალიან რთულია ჩემთვის; მთელი ექვსი თვე სჭირდება მასალების შეგროვებას, დაშუქებას, თარგმანს, რედაქტირებას, თუმცა, ძალიან მნიშვნელოვანია, ეს მომავალში გამოადგებათ ჩვენს სტუდენტებს, ვინც ქართულ-თურქული ურთიერთობით დაინტერესდება. მაგალითად, ჩემს სტუდენტებს, მეოთხეკურსელებს ახალციხეში, უკვე ვუვ ზავნი ამ კრებულებს, დავალებებს ვაძლევ და კარგ თემებს მიგზავნიან, ლექციებზე მიყვებიან. ამან გაზარდა როგორც ამ მეცნიერის, ისე სასწავლო ინტერესი ამ მიმართულებით. მე ამით ბედნიერი ვარ და მიხარია, რომ ამხელა წვალეობა უზრაოდ არ ჩაიარა და მხოლოდ მეცნიერების ყურადსაღები არაა.

კიდევ ერთი ონლაინ სიმპოზიუმი ჩატარდა მიმდინარე წელს, ნოემბრის ბოლო კვირაში, გორის უნივერსიტეტის მასპინძლობით. თემა იყო – „მშვიდობიანი კავკასიისთვის“. რადგან გორისა და სოხუმის უნივერსიტეტები არიან კონფლიქტური ზონიდან, ბუნებრივია, მათი ინტერესია, კონფლიქტისა და მშვიდობის თემასთან დაკავშირებული სიმპოზიუმები მოაწყონ. გორის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ გამოთქვა სურვილი, რომ ასეთი სიმპოზიუმი ჩატარებულიყო მათთან. ამ იდეას მე და იბრაჰიმ თელიოღლუმ მხარი დავუჭირეთ და, ყველას აზრის გათვალისწინებით, ჩავრთეთ უკვე არა მხოლოდ ორი ან სამი ქვეყნის, არამედ მეცნიერები უკრაინიდან, თურქეთიდან, აზერბაიჯანიდან, რუსეთიდან (დალესტანიდან), პოლონეთიდან, ანუ ექვსი სახელმწიფოს წარმომადგენელი მონაწილეობდა. თემა ეხებოდა ბოლოდროინდელ მოვლენებს კავკასიაში. საქართველოდან ძალიან მრავალფეროვანი იყო წარმომადგენლობა – გორის, სოხუმის, სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტებიდან. მე ამ სიმპოზიუმზე გავიტანე



# „საქმე შედეგისანი გაუჩინა, როდესაც მთელ ქალსა და ენაწიას დახარჯავ“

მე-5 გვერდიდან

თემა – „თურქოლოლოგიის განყოფილებები საქართველოში და ქართველოლოგიის განყოფილებები თურქეთში, როგორც კულტურათმცოდნეობის ხიდეები“. სიმპოზიუმში სწორედ კონფლიქტების მკვლევარები იყვნენ ჩართულნი და თემატურად ძალიან მრავალფეროვანი გამოვიდა. აქვე გეტყვით, რომ ამ სიმპოზიუმის მასალებს გორის უნივერსიტეტი გამოცემს კრებულის სახით. ამჯერად, სამენაზე მომინა სინკრონული თარგმანი – ქართულ, რუსულ და თურქულ ენაზე. ნაწილობრივ, ენის მცოდნე, ინლისურ ენაზეც ისაუბრეს.

– თქვენ საუბრობთ სამეცნიერო კრებულებზე. რადგან ორივე მხარის მონაწილეობით ხდება ამგვარ სამეცნიერო ნაშრომთა კრებულების გამოცემა, საინტერესოა, დაფინანსება როგორ ხდება, ბატონო როინ? შეიძლება ამის თაობაზე გვესაუბროთ?

– ამ თემასთან დაკავშირებითაც მოგახსენებთ. ჩვენი შეთანხმება ასეთი იყო – ოთხი სიმპოზიუმი გაიმართა მორიგეობით; დავიწყეთ სამეცნიერო უნივერსიტეტში 2016 წელს, კრებული აიწყო და დაკაბადონდა ჩვენს უნივერსიტეტში, ნაშრომები ჩვენ ვთარგმნით თავიდან ბოლომდე და დაიბეჭდა თურქეთში, ტრაპიზონის ტექნიკურ უნივერსიტეტში. დაბეჭდვის ხარჯი თურქულმა მხარემ გაიღო. მეორე სიმპოზიუმი ჩატარდა ტრაპიზონის ტექნიკურ უნივერსიტეტში, ნაშრომთა კრებული იგივენაირად გამოიცა ანუ თარგმანი, აწყობა-დაკაბადონება ჩვენი ძალეებით მოხდა. ჩვენმა უნივერსიტეტებმა, რომელთა პროფესორის ნაშრომებიც განთავსდა კრებულში, გარკვეული ხარჯი გაიღეს თარგმანთან დაკავშირებით, დაბეჭდვა – თურქული მხარის მიერ მოხდა. ტრაპიზონის შემდეგ გორის უნივერსიტეტმა ითავა სიმპოზიუმის ჩატარება. ამჯერად თარგმანი, აწყობა-დაკაბადონება და გამოცემა გორის უნივერსიტეტის ხარჯით მოხდა. ამ შემთხვევაში, თურქეთის მხარემ თურქეთიდან ჩამოსული პროფესორის დაფინანსება (მგზავრობა, დაბინავება და ა.შ.) გასწია. ყველა შემთხვევაში, მე ვიჯექი და მკაბადონებლის გვერდით და ასე ვმუშაობდით. სხვა-ნაირად არ გამოვა, ორენოვანი კრებულისა და, ბუნებრივია, ორივე ენის ცოდნა სჭირდება. მეოთხე სიმპოზიუმის კრებული აიწყო და დაკაბადონდა გორში, მასალები ვთარგმნით მე და გელამ; საკუთარი პროფესორის ნაშრომის თარგმნისთვის ყველა უნივერსიტეტმა გადაიხადა თანხა; კრებული გამოქვეყნდა ისევე თურქეთში მათი დაფინანსებით. ასეთი ისტორია აქვს გამოცემულ ოთხ სამეცნიერო კრებულს.

– თუ გადავიხედოთ დამდეგი ახალი წლის იქით, როგორია თქვენი სამომავლო გეგმა, თუნდაც – უახლესი ჩანაფიქრი?

– ვმუშაობ 1915 წელს ოსმალეთის ტერიტორიაზე დაარსებული ქართული ლეგიონის თურქულენოვან წყაროებსა და ლიტერატურაზე. ასევე, მინდა გავაკეთო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის შესახებ არსებული თურქულენოვანი პრესის ბიბლიოგრაფია და შემდეგ ვიმუშაო ამ მასალაზე. ეს შედეგები რთული სამუშაოა, რადგან იმდროინდელი პრესა არაბული გრაფიკით არ არის. ვნახოთ, დრო გვიჩვენებს. ბევრი დრო არა მაქვს, ინტენსიურად რომ ვიმუშაო. როგორც კი დასრულდება ეს სემესტრი, არდადეგებზე საქართველოშიც დავბრუნდები და აქტიურად გამოვიყენებ დროს ამ საქმისთვის. მოკლედ, ასეთი წელიწადი მექონდა – დამღლევი, სამუშაოთი სავსე, მაგრამ, შეიძლება ითქვას – საინტერესო. – ნამდვილად საინტერესო, ბატონო როინ. ვისურვებთ წარმატებას თქვენი ჩანაფიქრის განხორციელებაში და ბედნიერ შეხვედრას ახალ წელთან თქვენს ოჯახში.

ინტერვიუერი მარინა ჯაფელიაშვილი

# გულაშაძე-პატარკაციშვილის ფონდის სტიპენდიანტი

სამეცნიერო-გაგანების სახელმწიფო უნივერსიტეტის ათი წარჩინებული სტუდენტი გულაშაძე-პატარკაციშვილის ფონდის სტიპენდიანტი გახდა.

გულაშაძე-პატარკაციშვილის ფონდის მიერ ინიცირებული სასტიპენდიო პროექტის მიზანია, ხელი შეუწყოს პედაგოგის პროფესიის პოპულარიზაციას, იზრუნოს, დამატებითი მოტივაცია გაუჩინოს მომავალ პედაგოგებს, ასევე, პარტნიორ უნივერსიტეტებში შექმნას მაღალი აკადემიური მოსწრების აბიტურიენტების მოზიდვის მეტი შესაძლებლობა.

აღნიშნული სტიპენდია სამეცნიერო-გაგანების სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს გადაეცათ სტუდენტთა საერთაშორისო დღეს – 17 ნოემბერს. ფონდის ხელმძღვანელმა ზურაბ კერვალიშვილმა, სამეცნიერო-გაგანების სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, მკაცრად და რექტორის მოადგილემ სამეცნიერო დარგში, პროფესორმა მერაბ ბერიძემ სტუდენტებს მიულოცეს წარმატება. აღნიშნული სტიპენდიის მნიშვნელობასა და განცდილ ემოციებზე ფონდის რადენიმე სტიპენდიანტს გავესაუბრეთ.



ბარბაკე ხაჩიანი, დანებებითი განათლების სპეციალისტი მე-2 კურსის სტუდენტი

უნივერსიტეტში სწავლის დანებების დღიდან ჩემი მთავარი მიზანი კარგი განათლების მიღებაა. მინდა მექვეყნის „სტიპენდიანტი“, რადგან ეს სტატუსი მომცემს მეტ სტიმულს. მექნება ჩემი ფინანსური შემოსავალი, რაც კიდევ უფრო გაზრდის სწავლისადმი ჩემ მოტივაციას. უკვე ვიცი, რომ მაღალი ქულების მოპოვება მუდმივ სწავლასა და აქტივობას გულისხმობს. შედეგის მისაღებად აუცილებლად უნდა ესწრაფოდეთ თითოეული საგნის ლექციასა და სემინარს, მაქსიმალურად უნდა იყო ჩართული საგანმანათლებლო პროცესში.

თანაკურსელებს მივცემ მაგალითს, რომ სწავლით შეგიძლია გამოვიმუშაოთ თანხა, ამასთან, კარგი სწავლით და სტიპენდიით მექნება დასაქმების მეტი შანსი. სტიპენდიის მოპოვებით გავახარებ ჩემი ოჯახის წევრებს, უფრო თავდაჯერებულნი გავხდები და შევძლებ, ვიციან ნარმატებულ მომავალზე. სტიპენდიის მიღება მომცემს კიდევ უფრო მეტის კეთების სურვილს, რომ არ დავკარგო მიღებული შედეგი და ასე გავაგრძელო მომავალში, განვითარდე და ვასწავლო სკოლაში მოსწავლეებს, ვიყო საუკეთესო მასწავლებელი.

სასიხარულოა, როდესაც ხედავ, როგორ აფასებენ შენს ცოდნასა და მონდობას. მინდა მადლობა გადაუხადო თითოეულ ადამიანს, რომელსაც მცირედი წვლილი მიანიჭა აქვს შეტანილი ამ სტიპენდიის დაარსებაში. მე გავაპირებ თანხა მისაღებად ვისწავლი, რომ გავხდე მაღალი დონის პროფესიონალი, რათა თაობებს მივცე მაღალი ხარისხის განათლება ჩვენი ქვეყნის წინსვლისთვის. ვემაყობ, რომ ვარ სამეცნიერო-გაგანების სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი.

თამარ ბუბუნაძე, ქართული ფილოლოგიის სპეციალისტი მე-4 კურსის სტუდენტი

დიდი სიხარული და ბედნიერებაა, როდესაც აცნობიერებ, რომ შენი შრომა და მონდობა ფასდება. ამის გაცნობიერებაში კიდევ ერთხელ დამეხმარა გულაშაძე-პატარკაციშვილის ფონდის სტიპენდიანტობა. ამისათვის დიდი მადლობა მინდა გადაუხადო ფონდის მესვეურებს. ძალიან მიხარია, რომ ვარ ერთ-ერთი იმთაგანი, ვისაც მათთან მოუწია მუშაობა.

ვფიქრობ, ეს სტიპენდია, რომელიც ენიშნებათ იმ წარჩინებულ სტუდენტებს, ვინც უფლებს პედაგოგის პროფესიას, მომავალში ხელს შეუწყობს პედაგოგის პროფესიის პოპულარიზაციას. პირადად ჩემთვის ეს სტიპენდია არის მოტივაცია, რათა უკეთ ვისწავლო და მეტად განვითარდე როგორც პედაგოგი. ეს არის დიდი სტიმული და მხარდაჭერა, ეს მაჩვენებს, რომ პროფესია, რომელიც მე ავირჩიე – მასწავლებლობა, საამაყო და ფასდება. ეს არის მოტივაცია არა მხოლოდ ჩემთვის, არამედ ყველა იმ სტუდენტისთვის, ვინც მომავალში აპირებს პედაგოგობას.

ყველაზე მნიშვნელოვანი და მთავარი არის ის, რომ ეს პროექტი ჩვენს უნივერსიტეტს, სამეცნიერო-გაგანების სახელმწიფო უნივერსიტეტს, დაეხმარება მაღალი აკადემიური მოსწრების აბიტურიენტების მოზიდვაში. ზოგადად, მასწავლებლის პროფესია დაკნინებული იყო



მარიამ ჯაფელია, ქართული ფილოლოგიის სპეციალისტი მე-4 კურსის სტუდენტი

მინდა გიამბოთ იმ ამბავზე, რომელსაც გულაშაძე-პატარკაციშვილის ფონდის სტიპენდიანტობა ჰქვია. 15 ნოემბერი ჩემი დაბადების დღეა და ორმაგად სასიხარულო აღმოჩნდა, როდესაც ტელეფონზე შემომავალმა ზარმა ამ ფონდის სტიპენდიანტობა მაცნობა. სასიხარულოა, როდესაც ხედავ, როგორ აფასებენ შენს ცოდნასა და მონდობას.

ეს ყველაფერი ერთგვარი მოტივაციაა წარმატებისთვის და ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ეს სტიპენდია სტიმულს მაძლევს, რომ ვასწავლო სკოლაში და ჩემი დაგროვილი ცოდნა და გამოცდილება გავუზიარო მოსწავლეებს. ვაცნობიერებ, რაოდენ მნიშვნელოვანი როლი აქვს მასწავლებელს საზოგადოების განვითარების ნებისმიერ ეტაპზე.

ამავე დროს, მინდა მადლობა გადაუხადო თითოეულ ადამიანს, ვისაც წვლილი აქვს შეტანილი ამ სტიპენდიის დაარსებაში, რომელიც მომავალ პედაგოგებს უქმნის მოტივაციას და საფუძველია იმის, რომ არ მოდუნდნენ.



ზურაბ კერვალიშვილი, მარიამ იაძე

და ახლა ცოცხლდება, რაც ძალიან სასიხარულოა, რადგანაც მასწავლებლის პროფესია უმნიშვნელოვანესია. მასწავლებელი არის პირველი, ოჯახის შემდეგ, ვინც მოსწავლეებს აყალიბებს პიროვნებებად, საზოგადოების სრულფასოვან წევრებად. მასწავლებელი არის ის, ვინც ეხმარება მოსწავლეებს, პირდაპირ თუ ირიბად, მომავალი პროფესიის არჩევაში. მადლობელი ვარ, რომ ჩვენი უნივერსიტეტი და გულაშაძე-პატარკაციშვილის ფონდი ინტერესდება პედაგოგის პროფესიით და გვეხმარება მის განვითარებაში. კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას და გისურვებთ წარმატებას.



მარიამ იაძე, ინგლისური ფილოლოგიის მე-4 კურსის სტუდენტი

მინდა ჩემი ემოციები გაგიზიაროთ გულაშაძე-პატარკაციშვილის ფონდის სტიპენდიასთან დაკავშირებით. როდესაც შევიტყვე, რომ აღნიშნული სტიპენდია დავიმსახურე, ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ამან დიდი მოტივაცია მომცა. ძალიან მიხარია, რომ მასწავლებლის პროფესია ფასდება იმდენად, მიუხედავად იმისა, რომ ოთხი წლის განმავლობაში არასდროს დამიზოგია თავი და პირნათლად ვაკეთებდი ჩემს საქმეს, დღეს ამ სტიპენდიით უფრო დიდი მოტივაცია მომცა და ჩემი თავი უკეთ დამანახა მასწავლებლის ამპულაში. მინდა ვიყო წარმატებული პედაგოგი და ამისათვის თავს არასდროს დავზოგავ.

მადლობა მინდა გადაუხადო გულაშაძე-პატარკაციშვილის ფონდს იმისთვის, რომ ასეთი დიდი სიხარული მაჩუქა. ეს ჩემთვის ყველაზე დიდი გამომწვევაა და ყველაფერი გავაკეთებ, რომ გზა გავიკვლო მასწავლებლის პროფესიაში და ვიყო წარმატებული.

# იცნობდით სჯსუელას

„მედიის უნივერსიტეტი“ გააბეჭდათ საზოგადოებასთან ურთიერთობის, სტუდენტთა კარიერული ზრდისა და განვითარების ცენტრის ერთობლივი რეკლამის – „იცნობდით სჯსუელას“ საინტერესო სტუმრებს.

## „სამოავლოდ ვფიქრობ, საინტერესო ცვლილებები შევითანო დარგის განვითარებაში“



**რამ განაპირობა ის, რომ მე დღეს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ინჟინერიის, აგარარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ვსწავლობ?** ან იქონია თუ არა რაიმე ფაქტორმა გავლენა პროფესიის არჩევისას? განვიცდიდი თუ არა სხვის ზეგავლენას ასეთ საპასუხისმგებლო მომენტში? რა თქმა უნდა, არა! გადაწყვეტილება სრულიად დამოუკიდებლად მივიღე.

ბავშვობიდან მქონდა სოფლის მეურნეობის სიყვარული, მაგრამ მოგვსენებდა, ამ ასაკში ბავშვის გონება გართობაზე და მეგობრებთან ერთად დროის გატარებაზეა მიმართული. 12 წლის ვიყავი, როდესაც დავიწყე იმის გააზრება, თუ რამდენად მნიშვნელოვან როლს ასრულებს სოფლის მეურნეობა ადამიანთა ყოფა-ცხოვრებაში.

მამინ, როდესაც ჩემი თანატოლები სრულიად განსხვავებული საქმიანობით იყვნენ დაკავებული ან საერთოდ არაფერს აკეთებდნენ და მთელ დღეს ზემოთ-ქვემოთ სირბილი ატარებდნენ, მე თავისუფალ დროს ვეზიარებოდი ოჯახის წევრებს მინის დამუშავებაში, ვსწავლობდი მოსავლის დაზიანებას... ასე გადიოდა წლები და ჩემი ინტერესიც ამ საქმისადმი უფრო იზრდებოდა.

ვიცოდი, რომ სამომავლო პროფესიას აუცილებლად სოფლის მეურნეობას დავეკავებოდი.

ერთიანი ეროვნული გამოცდები წარმატებით ჩავა-

### ვასიკო გომოლაძე

აგრონომიის მმართველის მმ-2 კურსის სტუდენტი

ბარე და ჩავირიცხე სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინჟინერიის, აგარარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამის პირველ კურსზე. სწავლა საინტერესოდ დავიწყე, მონდომებულმა და აქტიურებულმა, კარგი ურთიერთობა ჩამომიყალიბდა ლექტორებთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან. მოკლედ, უნდომებულმა ჩავები სასწავლო პროცესში და ვცდილობდი, უფრო მეტი შემიხვედნო ამ დარგის შესახებ.

უკვე მეორე კურსზე ვარ და კვლავ ინტერესით ვსწავლობ და ვეფუძლები ჩემს პროფესიას. ჩემთვის ამ პროგრამაზე სწავლა და სოფლის მეურნეობასთან უწყვეტი კავშირი ყველაფერია, რადგან ვიპოვე, რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანთა მიმართული მსოფლიოსთვის. არ ასებობს დარგი, რომელიც კავშირში არ იქნება სოფლის მეურნეობასთან. იგი უწყვეტ ჯაჭვს ქმნის გარე სამყაროსთან და მისი განყვეტი შემთხვევაში კაცობრიობა, უბრალოდ, შეწყვეტს სიცოცხლეს.

სოფელი ამარაგებს ქალაქს, ქალაქი კი – ქვეყნის მთავარ ბაზარს იმისთვის, რომ მოსახლეობას საკმარისი და ჯანსაღი საკვები პროდუქტი ჰქონდეს. ვფიქრობ და ვაანალიზებ იმას, რომ აგრონომი და მისი ყველა დარგი ყველაზე და ყველაფერზე მნიშვნელოვანია, რადგან საქმე ეხება არა მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფას, არამედ ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.

მე ძალიან მიყვარს ჩემი სპეციალობა. სამომავლოდ ვაპირებ საინტერესო ცვლილებები შევიტანო დარგის განვითარებასა და გაძლიერებაში.

ეს სფერო საქართველოსთვის ოდითგანვე მხოლოდ მეურნეობის დარგი კი არ არის, არამედ მისი ისტორიის, ცნობიერებისა და კულტურული მემკვიდრეობის განუყოფელი ნაწილია. თითქმის ყველაფერი, რითაც თავისი ოცდაათსაუკუნოვანი ისტორიით საქართველო დანარჩენი მსოფლიოსთვისაა ცნობილი, უშუალოდ უკავშირდება ჩემს ქვეყნს, როგორც უძველესი მინათმომქმედების არეალის მდიდარ ტრადიციებს.

აგარარული სექტორის ერთ-ერთი უმთავრესი და განმსაზღვრელი საკითხი არის მინის, ანუ ქვეყნის ძირითადი რესურსის საკითხი. მინა არის ერის არსებობისა და შემოქმედებისათვის აუცილებელი და გადამწყვეტი სივრცე.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ყველა ის პირობაა შექმნილი, რაც სრულყოფილი განათლების მისაღებად მჭირდება: კარგი ადგილმდებარეობა, საინტერესო და ნაღრმად მარტივი ლექციები, ლექტორების მხრიდან თანადგომა, თეორიული სწავლების შემდგომ პრაქტიკული ნაწილის დაუფლება, ჩვენი ინტერესების დაცვა და მათი რეალიზება.

ვამაყობ, რომ ვარ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი, რომ ვსწავლობ ინჟინერიის, აგარარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე. დარწმუნებული ვარ, მიღებულ ცოდნას და დაგროვებულ პრაქტიკას ახლო მომავლში წარმატებით გამოვიყენებ სოფლის მეურნეობის აღორძინებისა თუ მისი მნიშვნელობის განმტკიცებში.

შენც დაფიქრდი ამაზე, მოდი, ნახე, გაცანი და ისწავლე ამ პროფესიაზე და შეიტანე შენი წვლილი სოფლის მეურნეობის განვითარებაში.

## „მიჰყავით ოცნებას“

თინათინ ხვალაძე  
ბარათული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

ილექტა. შენ აძლევ მათ არა მარტო ცოდნას, არამედ უნარს, ცოდნის ნაპერწკალი ალად როგორ აქციონ. ერთი წელი ვმუშაობდი ქალაქ ვალის საჯარო სკოლაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან. თუ გიყვარს შენი პროფესია, ყველაფერს გააკეთებ. ერთი წლის განმავლობაში წვიმაში, თოვლში, ქარბუქში ყოველ დილას მივემართებოდი სკოლისკენ. პარალელურად ვმუშაობ „ბავშვთა და მოზარდთა განვითარების ცენტრში“ სპეციალისტ პედაგოგად.

ამჟამად ჩემი პროფესიით ვმუშაობ, ახალციხის მე-5 საჯარო სკოლაში ვასწავლი ქართულ ენასა და ლიტერატურას, უფროსი მასწავლებლის სტატუსით.

იყო მასწავლებელი ეს დიდი პასუხისმგებლობაა! აქტიურად ვარ ჩართული

სწავლა-სწავლების პროცესში. როდესაც გაქვს მიზანი, ფეხდაფეხ უნდა მისდიო მას. ჩემი ერთ-ერთი მიზანი მასწავლებლად მუშაობა იყო. ძალიან კმაყოფილი და მადლიერი ვარ ჩემი უნივერსიტეტის თითოეული ლექტორის, რომელმაც ჩემს პროფესიულ ზრდაში მცირედი წვლილი მაინც შეიტანა. მე დღეს უკვე მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტი ვარ.

ყველას გირჩევთ, რომ თქვენს ოცნებებს მიჰყვეთ. ოცნებები ხდება, მთავარია – განაგრძე! თუ საკუთარი თავის რწმენა გაქვს, ყველაფერს შეძლებ, ყველაფერი კარგი ჯერ კიდევ წინ არის.

ვფიქრობ დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელება და მთელი ჩემი რესურსისა და შესაძლებლობების ბოლომდე გამოყენებას. ადამიანისთვის შეუძლებელი არაფერია!

## „ჩვენი არჩევანი მრავლისმომცველი და საინტერესო პროფესიაა“

ირინა ლონდარიძე  
ირაკლი ლონდარიძე

ტყუპი და-ძმა – საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის მმ-2 კურსის სტუდენტები



**ირინა:** მე და ჩემი ძმა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში უკვე ორი წელია ვსწავლობთ. ამ სასწავლებელში ჩაბარება გვირჩია ჩვენმა დამ, რომელიც ახლა მე-4 კურსზეა.

არჩევანი საჯარო მმართველობაზე შევანერეთ, რადგან მრავლისმომცველი და საინტერესო პროფესიაა.

ვფიქრობ, აუცილებელია საჯარო მთხელე საკუთარი საქმის პროფესიონალი იყო. დარწმუნებული ვარ, უნივერსიტეტში მიღებული განათლების საფუძველზე ყველა ოცნების და მიზნის განხორციელებას შევძლებ.

**ირაკლი:** უნივერსიტეტი მაძლევს ყველა იმ შესაძლებლობას, რაც საჭიროა განვითარებისათვის. გვყავს მაღალკვალიფიციური ლექტორები, რომლებიც დისტანციური

სწავლების პროცესშიც კი არ იშურებენ ძალ-ღონეს.

ვცდილობ, აქტიურად ჩავეერთო სტუდენტურ ცხოვრებაში და ვეცნო სხვადასხვა საინტერესო ტრენინგებს და ვმონაწილეობ პროექტებში.

ჩემი მიზანი საკუთარი პროფესიით მუშაობაა. მინდა, ის ცოდნა, რასაც სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი მომცემს, ისევე ჩემს ქალაქს და მოსახლეობას მოვახმარო და გავუზიარო.

## „შეიძლება ითქვას, რომ იღვლიანი აღმოვჩნდი“

ნინო ძველაძე  
განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მმ-4 კურსის სტუდენტი



**ნინო** ისტორიის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა ისე გადნევიდა, არჩევანში დარწმუნებული არ იყო, მაგრამ სწავლის პროცესში გაუჩნდა პროგრამის მიმართ ინტერესი: „თემბუკა და კონკრეტული საგნის მიმართ ლექტორთა მიდგომა საინტერესო აღმოჩნდა ჩემთვის, რაც კარგად სწავლის წინაპირობა გახდა. განსაკუთრებული მადლობა მინდა გადა-

ვუხადო ქალბატონ მედიკო ბურდულს, რადგან ისტორიის საგანმანათლებლო პროგრამის მიმართ გამიჩინა ინტერესი და ამ კუთხით მას დიდი წვლილი მიუძღვის.“

ნინო უნივერსიტეტში არსებული გოგონათა ფრენბურთის გუნდის წევრია, რამაც მისი სტუდენტური ცხოვრება მრავალფეროვანი და გამორჩეული გახადა: „შეიძლება ითქვას, რომ იღვლიანი აღმოვჩნდი, რადგან ფრენბურთის მეშვეობით გავიცანი უამრავი სტუდენტი სხვადასხვა ფაკულტე-

ტიდან. ჩვენი გუნდი „ქაოსი“ არაერთ რეგიონულ შეჯიბრზე მონაწილეობდა და ყოველთვის პირველ ადგილს ვიკავებდით. ვფიქრობ, თითოეული გამარჯვება, პირველ რიგში, უნივერსიტეტის მიღწევას, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდებ ჩვენს მწვრთნელს გაია კენჭოვილს.“

სამომავლოდ ნინო გერმანიაში აპირებს წასვლას: „სტიპენდიას გერმანიის ენის შესწავლაში ვიყენებ, რადგან ჩემი სამომავლო გეგმები ამ ქვეყანას უკავშირდება.“

## „მიმართულება, რომელიც ყოველთვის მომწონდა“

თამარ გოზაძე  
ზიზნა-ადმინისტრირების ფაკულტეტის კურსდამთავრებული



**აკონომიკა** არის მიმართულება, რომელიც ყოველთვის მომწონდა. პროექტების წერა, ანგარიშები, მათემატიკა, ხალხთან კონტაქტი და სამომავლო გეგმები აღმოჩნდა გადამწყვეტი ჩემი პროფესიის არჩევანში.

ჩავაბარე სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბიზნეს-ადმინისტრირების ფაკულტეტზე, ეკონომიკის მიმართულებით და ახლა ვხვდები, რომ საუკეთესო გადამწყვეტილება მივიღე. უნივერსიტეტთან უამრავი კარგი მოგონება მაკავშირებს. გამორჩეულად მიყვარს

311 და 210 აუდიტორიები, სადაც მიტარდებოდა ლექციები უმაღლეს მათემატიკასა და ეკონომიკის საფუძვლებში.

განსაკუთრებით მასხოვდა პროექტების მართვისა და სწავლების კურსები, რამაც გამიჩინა მოტივაცია, წამომეწყოს საკუთარი საქმე და ჩემი ბიზნესიდეა გახდა პროექტის „ანარმე საქართველოში“ გამარჯვებული.

მეოთხე კურსზე ვიყავი, როდესაც დავინყე მუშაობა „კრედო ბანკში“, სწავლის დასრულებისთანავე კი მუშაობა გავაგრძელე „საქართველოს ბანკში“, საკრედიტო

ექსპერტის პოზიციაზე. მახარებს ის ფაქტი, რომ ვმუშაობ ჩემი პროფესიით საბანკო სფეროში.

გვეგმავ, ვისწავლო სამაგისტრო პროგრამაზე აუდიტის მიმართულებით, ამასთან, ვაპირებ მოვიპოვო გრანტი, რათა ჩემს რეგიონში მაცხოვრებლების დასაქმება შევძლო; განსაკუთრებით ბიზნესში ქალების ჩართულობა მიმართა მნიშვნელოვნად.

## „უნივერსიტეტმა ყველა გოლოდინი გამიბართლა“

თორნიკე ზაფინიძე  
ინჟინერიის, აგარარულ და საზოგადოებათა მეცნიერებათა ფაკულტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების პირველი კურსის სტუდენტი



**კომპიუტერთან** ურთიერთობა ბავშვობიდან ჩემი ყოველდღიური რუტინა იყო. იმდენად მომწონდა ეს ყველაფერი, რომ ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამაზე ჩა-

ბარება გადაწყვიტე და მოვედი დღევანდელ დღემდე. დარწმუნებული ვარ, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიღებულ ცოდნას სამომავლოდ გამოვიყენებ ჩემი კარიერული ინსვლისთვის, ხოლო გაცივლებლად, რომელსაც ნების განმავლობაში თეო-

რიული და პრაქტიკული ცოდნით დავაგროვებ, მომავალში სხვებსაც გავუზიარებ. უნივერსიტეტმა ყველა ის მოლოდინი გამიბართლა, რაც აბიტურიენტობისას მქონდა. დიდი იმედოვნებს, რომ მომავალში ერთ-ერთი ნარჩინებული კურსდამთავრებული ვიქნები.

# ნა ხელოვნების უნივერსიტეტის სახელით



**ნატალია ვარლიძე** ბიზნეს-ადმინისტრირების ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტია. ვიდრე გადაცემაში – „ნიგნების თარო“, მიიღებდა მონაწილეობას, მუდმივად თვალს ადევნებდა მას. თავდაპირველად, არც კი უფიქრია, რომ თავადაც შეეძლო გამხდარიყო ამ პროექტის მონაწილე. სურვილი დროთა განმავლობაში გაჩნდა, მეათე კლასიდან. ყოველი გადაცემა გასულიდან, ნატალია საკუთარ თავს მოთამაშეთა ადგილას წარმოიდგენდა ხოლმე. ჰყავდა საყვარელი გუნდი, რჩეული მონაწილე, რომელთა გაცნობა ძალიან უნდოდა. სკოლის პერიოდის ოცნება სტუდენტობისას აისრულა. „ნიგნების თაროში“ მონაწილეობის ინიციატივა ნატალიას ეკუთვნოდა. მისი მცდელობა წარმატებული აღმოჩნდა. მოხერხდა, შემდგარიყო ერთიანი, შეკრული ჯგუფი. გუნდის სახელი დიდი ხნის მოფიქრებული ჰქონდა. სამივე მონაწილემ, ერთობლივად, გუნდს სახელიწოდებად „ტრამპლის მგლები“ შეურჩიეს. **სახელის ინსპირაცია იყო ჰერმან ჰესეს „ტრამპლის მგელი“ და უფრო ის ბოლო წინადადება, რაც ავტორის ბოლოთქმისა: „ეს არის ტყვიანი, რომელიც ისწრაფვის განკურნებისკენ და არა სიკვდილისკენ“. დი-**

**რიტადი სათქმელი და მიზანი სწორედ ეს იყო, რადგან თითოეული ადამიანი შინაგანად მარტოა და ყველა ადამიანში ის „მგელი“, რომელიც ყოველთვის ყველაფერს თავდაყირა აყენებს.** – გვეუბნება ნატალია. 28 ოქტომბერს გუნდი გადაცემის ჩანერაზე ჩავიდა დედაქალაქში. ნატალიასთვის ეს დღე განუმეორებელი და დაუვიწყარი აღმოჩნდა. ის ყველას მოუწოდებს – არავითარ შემთხვევაში უარი არ თქვან საკუთარ ოცნებებზე. **გადაცემის ერთი სიტყვით დახასიათება არ შეიძლება. ეს არის ჩემთვის მიზანი, ოცნება, ბედნიერება. მინდა ვუთხრა ყველას – გაბედე და სცადე!** – ამბობს ის. და ბოლოს, ლიტერატურა მისთვის არის თავისუფლება, ბედნიერება, მთელი სამყარო, სადაც თითოეულ ადამიანს შეუძლია იპოვოს საკუთარი თავი.

**თამაშა მსხვილიძე** განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტია. უყვარს ნიგნების კითხვა. როდესაც ბავშობაში გაეცნო ქართული მწერლების შემოქმედებას, იაკობ გოგებაშვილი, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას და სხვათა ნაწარმოებებმა მის ცნობიერებაზე დიდი გავლენა მოახდინა, მისი ბავშვობა ნათელი და საინტერესო გახდა. შემდეგ უცხოელი მწერლების შემოქმედებას გაეცნო. ნაიკითხა ჰაროლდ ბიჩერ სტოუს „ბიძია თომას ქოხი“, იუსტინ გორდერის „ფორთხლის გოგონა“, „სოფის სამყარო“ და „ბანქოს საიდუმლო“, უილიამ შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“, „მეფე ლირი“ და სხვა. დროთა განმავლობაში აცნობიერებდა, რომ კითხვის დროს თავს კომფორტულად გრძნობდა, იღებდა და-

დებით ენერჯიას და დიდ შთაგონებას... ამბობს, რომ როდესაც ნახა ნატალია ვარდიძის შემოთავაზება, გადაცემაში მონაწილეობასთან დაკავშირებით, გადამწყობდა, დასთანხმებოდა. გოგონები მანამდე არ იცნობდნენ ერთმანეთს. თამაშა იხსენებს, როგორ ლელავდნენ გასაუბრებამდე. 20 ოქტომბერს, დაბადების დღეზე შეიტყო, რომ ისინი გადაცემის ჩანერაზე მიიწვიეს. ჩვენმა სტუდენტებმა აისრულეს საერთო ოცნება. გადაცემის ჩანერამდე ერთმანეთს ამშვი-



დებდნენ, რადგან ყველა მათგანი ძალიან ლელავდა. პირველივე სწორმა პასუხმა მონაწილეები გაახარა. მართალია, საბოლოოდ დამარცხდნენ, მაგრამ თამაშა გვეუბნება, რომ „ნიგნების თაროში“ მონაწილეობა, მათთვის დიდი გამოწვევა იყო. მას გული დასწყდა, რადგან გამარჯვების შანსიც ჰქონდათ. ამბობს, რომ საერთო განცხადება, ემოციებმა, ნატო, რუსუდანი და თამაშა ერთმანეთს დაამეგობრა. ეს არ არის ჩვენი ამბის დასასრული, ეს მხოლოდ დასაწყისიაო, გვეუბნება. **რუსუდანი შურანიძე** ინგლისური ფილოლოგიის სპეციალ-

ბის მესამე კურსის სტუდენტია. მისი ინტერესის სფერო მრავალფეროვანია. მხატვრული ლიტერატურა, მუსიკისადმი და ხატვისადმი სიყვარული – მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ლიტერატურული ნაწარმოებებიდან ფსიქოლოგიურ თხზულებებს გამოარჩევს, რომლებიც აძლევს საშუალებას, ადამიანის ცნობიერების დეტალებს ჩასწვდეს. კითხულობს რომანტიკულ ნოველებს და უყვარს პოეზია. ნაკითხული ნიგნებიდან განსაკუთრებით მოსწონს ჯემალ ქარჩხაძის „განზომილება“, დოსტოვესკის „დანაშაული და სასჯელი“, დენიელ კიზის „ყვავილები ელჯერონისთვის“, შარკი მურაკაძის „ნორვეგიული ტყე“, აგათა კრისტის „და აღარავინ დარჩა“ და ა. შ. ბოლო დროს ნაკითხულმა ჯექ ლონდონის „მარტინ იდენმა“ მასზე აუწყველი შთაბეჭდილება დატოვა. ამბობს, რომ ლიტერატურამ ბევრი რამ მისცა. გაიმდიდრა ლექსიკონი მარაგი, ყველა ახალი ნიგნი მისთვის ახალი გამოცდილებაა, ნიგნის სიუჟეტი აფორიაქებს და კითხვის პროცესში ამბის მონაწილე ხდის. **ნიგნებს სულ სხვა სამყაროში გადაჰყავხარ, გენმარება საკუთარ პრობლემებს ცოტა ხნით მაინც გაექცე. ნიგნებმა გამოიფარაოვა საზოგადოებრივი სივრცე და თვალსაჩინოა.** – გვეუბნება რუსუდანი. „ნიგნების თაროში“ მონაწილეობამ რუსუდანს უამრავი დადებითი ემოცია და შთაბეჭდილება დაუტოვა. რადგან გადაცემაში მონაწილეობა არა მარტო გუნდის, არამედ მთელი უნივერსიტეტის, რეგიონისა და საკუთარი თავის მიმართ დიდ პასუხისმგებლობასთან იყო დაკავშირებული. ფიქრობდა, მიელო თუ არა მონაწილეობის გადაწყვეტილება... „ნიგნების თაროში“, ჯერ კიდევ, ოთხი წლის წინ ითამაშა.



დე ჰქონდათ, მცდარი იყო. **თითქოს ყველა კამერამ, გადასაღებმა ჯგუფმა და მიკროფონებმა არსებობა შეწყვიტეს და ჩვენი, მონაწილედგე გუნდი და ალექსანდრე დავრიტი ამ გამეორებულ გასაუბრებელს ფონზე.** – იხსენებს რუსუდანი. ბლიცის რაუნდის დაწყებამდე თანაგუნდის დიდი სტიმული მისცეს. უთხრეს, რომ ისინი რუსუდანი თამაში იყო. რუსუდანმა ბლიცში საკმაოდ კარგი შედეგი – 12 ქულა აიღო. **მიუხედავად იმისა, რომ დავმარცხდით, არ ვართ გულდაწყვეტილები ან დამწუხრებულები, რადგან ჩვენთვის ისიც დიდი გამარჯვება იყო, რომ ამდენი ეტაპი გამოვიარეთ, სამცხე-ჯავახეთის სახელი ტელეკრანებზე გავიტანეთ და ვაჩვენეთ საზოგადოებას, რომ ჩვენს მხარეშიც მოიძებნებოდა ნიჭიერი და ნიგნის მოყვარული ახლგაზრდები.** – ამბობს რუსუდანი და დასძენს, რომ „ნიგნების თაროში“ მისცა შესაძლებლობა, იკითხოს უფრო მეტი და შეიმეცნოს უფრო მეტი სამყაროზე. **ლიკა ზაზაშვილი**



**სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში, წელს პირველად, ვეტერინარიის საგანმანათლებლო პროგრამამ დაინიშნა ფუნქციონირება. სტუდენტებს, რომლებმაც ამ სპეციალობის არჩევა გადაწყვიტეს, გაუმართლათ. პროგრამის დასრულების შემდეგ, ისინი თანამედროვე ცოდნითა და უნარებით აღჭურვილი ვეტერინარები გახდებიან. მნიშვნელოვანია, რომ თეორიული ცოდნის პრაქტიკულ უნარ-ჩვევების გამყარებას ვეტერინარულ ლაბორატორიებში, მეცხოველეობის ფერმერულ მეურნეობებში, უნივერსიტეტის თანამედროვე სტანდარტებით არჭურვილ ლაბორატორიაში და სხვა დაწესებულებებში შეძლებენ. მნიშვნელოვანია, რომ სწავლის დასრულების შემდეგ სტუდენტები მიიღებენ მაგისტრის ხარისხს.**

**სწავლის დაწყებიდან ნახევარი სემესტრი გადის. სტუდენტებს, რომლებმაც არჩევანი ვეტერინარიის საგანმანათლებლო პროგრამაზე გააკეთეს, უკვე ჩამოუყალიბდათ ვეტერინარიის სპეციალობის პირველი კურსის სტუდენტს ქეთვან მელიქიძეს, რომელიც შთაბეჭდილებებს გვიზიარებს.**

**ქეთვან მელიქიძე** ახალციხიდანაა. მან ამავე ქალაქის შოთა რუსთაველის სახელობის ნომერ პირველი საჯარო სკოლა 2006 წელს დაამთავრა და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა, ფილოლოგიის სპეციალობას დაუფლდა. ამაჟამად ის 31 წლისაა. ქეთვანი მიზანსწრაფული და სიახლისკენ ორიენტირებული ახალგაზრდაა. ამბობს, რომ არასოდეს ნებდება და ცდილობს მაქსიმუმი გააკეთოს, რათა მიიღოს საჭირო

## შეუქმნაჩიის საგანმანათლებლო პროგრამა აჩუქებდა ჩვენს სამსახურს!

ცოდნა და ინფორმაცია. ამისი დასტური მისი განმეორებითი სტუდენტობაა. არჩევანი, რა თქმა უნდა, ისევ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტზე გააკეთა. გარემომ, რომელშიც ქეთვანს მოუხია ცხოვრება, კიდევ მეტად განსაზღვრა მეორე პროფესიის არჩევა. 2010 წელს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, ახალციხის პროფესიულ სასწავლებელში, სსიპ კოლეჯ „ოპიზარში“ ჩააბარა ვეტერინარიის სპეციალობაზე. აქ მან ვეტერინარის მე-3 და მე-4 საფეხური გაიარა. ამავდროულად, ახალციხის ბიზნესის განვითარების ცენტრში – „კავკასია“ ახალციხის ოფისში, გადიოდა პრაქტიკულ მუშაობას, ვეტერინარ-ექიმთან ერთად. სამუშაოები იყო სხვადასხვაგვარი. ქეთვანი მონაწილეობას იღებდა და სწავლობდა ხელოვნურ განაყოფიერებას. ესწრებოდა ბევრ ტრენინგს. ვეტერინარიის მე-5 საფეხურს „ოპიზარში“ ამჟამად კვლავ გადის. ქეთვანს ჰყავს მეუღლე და ორი შვილი – დიმიტრი და გვანცა. ამბობს, რომ მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი პროფესია დედობაა. უფლის პატივს და განათლების მიღებისთვის შრომატევად გზას გადის. ქეთვანის მეუღლე – შოთა ყულჯანიშვილი, ვეტერინარია. როდესაც ქეთვანს თავისუფალი დრო აქვს, ის მეუღლეს ასისტენტობას უწევს და პრაქტიკულ გამოცდილებას იძენს. ვეტერინარიასთან შეხებამ მიახვედრა, რომ ეს სპეციალობა

ძალიან მოსწონდა და მეტის შესწავლის სურვილი ჰქონდა. ადრე, ვეტერინარიის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა მხოლოდ დედაქალაქის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ფუნქციონირებდა. ამიტომაც ვერ ახერხებდა ქეთვანის ბაკალავრის საფეხურზე განათლების მიღებას. **როდესაც ვაგივე, რომ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვეტერინარიის პროგრამამ მიიღო აკრედიტაცია, მაშინვე გადაწყვიტე ჩაბრება, მითუფრო, რომ ხუთ წელში მაგისტრის დიპლომი მივიღებ,** – გვეუბნება ქეთვანი. ქეთვანი ამჟამად დასაქმებულია. არის სსიპ კოლეჯის „ოპიზარის“ პედაგოგი, ვეტერინარიის სპეციალობაზე სტუდენტებს ზოგად საგნებს ასწავლის. სამომავლოდ, როდესაც მაგისტრის ხარისხიანი ვეტერინარი გახდება, ის საკუთარ თავს შემდეგ მართულეებში ხელდას: **ძალიან მინდა, უნივერსიტეტიდან მიღებული ცოდნა გამოვიყენო ბავშვებთან, ვისაც ვასწავლი კოლეჯში. ასევე, შევძლებ, ვიმუშაო ვეტერინარ-ექიმად, მაგალითად, გახსნა ვეტერინარული კლინიკა, ან ვიმუშაო სურსათის ეროვნულ სააგენტოში ვეტერინარიის კუთხით. ჩვენს რეგიონში ძალიან ჭირს ვეტერინარ-ექიმები და ვფიქრობ, რომ აუცილებლად შექნება საშუალება დასაქმების.** მიზნის მიღწევაში, მისი აზრით, რამდენიმე ფაქტორი დაეხმარება. ამბობს, რომ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსი-

ტეტში ვეტერინარიის სპეციალობაზე გამოცდილი და პროფესიონალი კადრები ასწავლიან. პროფესორები ყველაფერს აკეთებენ, რომ პანდემიის პერიოდში, სტუდენტებს მაქსიმალური ცოდნა გადასცენ. ასევე, მოხარულია, რომ ჰყავს ისეთი თანაკურსელები, რომლებსაც ნამდვილად სურთ ვეტერინარიის სპეციალობას დაუფლონ. არცერთი მათგანი ამ სპეციალობაზე „შემთხვევით“ არ მოხვედრილა. ქეთვანი ყურადღებას ამახვილებს კიდევ ერთ მნიშვნელოვან ფაქტორზე, რომ უნივერსიტეტს გააჩნია პრაქტიკული ბაზა, სადაც პრაქტიკულადაც სწავლობენ და მუშაობენ სტუდენტები, რომ აქ ყველაფერია იმისთვის, უნივერსიტეტიდან, ხუთი წლის დასრულების შემდეგ, ნავიდეს სრულფასოვანი ვეტერინარ-ექიმი. რადგან რეგიონში ვეტერინარ-ექიმების დეფიციტია, ქეთვანი იმედოვნებს, რომ მას და მის თანაკურსელებს დასაქმების რეალური შესაძლებლობა ექნებათ. **ლიკა ზაზაშვილი**



# აზიტურიენტების არჩევანი – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი!



ფილვარ მომხსენებელი და ვთვლი, რომ მსგავსი აქტივობები აუცილებელია მოზარდის თვითგანვითარებისთვის. ყველაზე მეტად ვაფასებ ადამიანურ ურთიერთობებს, გამორჩეულად მიზიდავს ბავშვებთან მუშაობა. ვფიქრობ, მათ ყველაზე გამაზრდებელია გულგრილობა; ამიტომაც ვანყო საინფორმაციო შეხვედრებსა და თავისუფალ გაკვეთილებს სკოლის დირექციის ხელშეწყობით. ძალიან მახარებს პოზიტიური უკუკავშირი.

ბავშვობაში მქონდა ერთი ოცნება, მსურდა გამეცოცხლებინა.

## მე ავისრულავ ბავშვობის ოცნებას - გავხდები გმირი!

მე ვარ რიმა სულაძე, ვსწავლობ ქ. ახალციხის №5 საჯარო სკოლაში. ვარ აბიტურიენტი, ასევე – კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაცია CEEN-ის კურსდამთავრებული. მიყვარს საინტერესო ნივთები, ღიმილი და თოვა. თავისუფალ დროს კითხვას ვუთმობ. ჩემი რჩეული მწერალი და პოეტი ვაჟა-ფშაველა. სწორედ მის კალამს ეკუთვნის ჩემთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოხატულება, რომელიც ერთგვარი სტიმულია სიროუტების არსებობისას: „ოღონდ მოხდების არწივი დაჭრილი დაბლა დავარდეს, მაგრამ ქათამი ზეცაში ვერასოდეს გაიწვავარდეს.“ მომწონს კულინარია და ჩემი საყვარელი საქმიანობაა საინტერესო რეცეპტების შეგროვება, შემდეგ თავად რომ მოვამზადო. ვალაირებ, ძალიან მემამყება ჩვენი კუთხისთვის დამახასიათებელი კერძები.

მხდარიყავი. დრო გადიოდა და მეტად მიმძაფრებოდა ეს განწყობა. მახსოვს, მერვე კლასში ვიყავი, როდესაც ქართულის მასწავლებელმა დაგვაავალა თემის დაწერა სათაურით „ჩემი მომავალი პროფესია“. ბავშვური გულწრფელობით ნაკარნახები სიტყვებით თემა დაწერე მასწავლებელზე. პირველად სწორედ მაშინ გამიჩნდა გულში ნაპერწკალი, რომელსაც მიზანდასახულობა ერქვა. დრო გავიდა, ახლა მე-12 კლასის მოსწავლე ვარ და ჩემს გულში ეს განწყობა ისევაა, უბრალოდ – მოგიზიგებ ცეცხლადქცეული. მუდამ ვხედავდი, როგორ მემარტოვდნენ, მაძლიერებდნენ და შთამაგონებდნენ ჩემი მასწავლებლები. ამიტომაც გადავწყვიტე, გავხდებოდე პედაგოგი, მომავალი დავუკავშირო ახალ თაობას; ჩვენ ერთად შევქმნით წარმატებას და ვიბრძოლებთ ნათელი მომავლისთვის. ჩემი აზრით, სამშობლოსთვის ახალი გაზრდობის აღზრდაზე დიდი გმირობა არ არსებობს. დიას, მე ავისრულავ ბავშვობის ოცნებას – გავხდები გმირი!

ჩემი მიზანია, ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტის წარმატებული სტუდენტი ვიყო. თავდაპირველად გამიჩნდა შიში, ვფიქრობდი, იქნებ ვერ შევძლო ასეთი დიდებული ისტორიის მქონე ენის სრულფასოვან დაუფლებას ისე, როგორც მას შეჰკადრის-მეთქი. თუმცა, მალევე გავიქარწყლე ეს შიში, რადგან მჯერა, რომ არ არსებობს მწვერვალი, რომელზეც ვერ აღწევდი.

ზეც ოდესმე არ აღმართავენ დროშას.

ახლა ისლა დამრჩენოდა, სასურველი უმაღლესი სასწავლებელი შემეჩრია. გადავწყვიტე, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი გავმხდარიყავი. არაერთხელ ვფიქრობდი უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული საინტერესო ინიციატივების მონაწილე, რამაც მომცა საშუალება, რეალურად შემეფასებინა შანსები, რომელსაც იძლეოდა ეს სასწავლებელი. განსაკუთრებით მიყვარდა ლია კარის დღეები. მალევე შევიგრძენი ის პროფესიონალიზმი და სიყვარული, რომელმაც დამაკავშირა ამ უნივერსიტეტთან.

მახსოვს, პირველად 2017 წელს, უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ ოლიმპიადაში გამარჯვებისას, ვიგრძენი რაღაც ახლობელი. მალე მივხვდი, რომ ეს იყო ბედნიერება. სწორედ ამის შემდეგ დავინტერესდი ამ გარემოთი და მაქსიმალურად ვცდილობდი, თვალი მედევნებინა უნივერსიტეტის ინიციატივებისა და მიღწევებისთვის. ჩემი ყურადღება მიიქცია მრავალფეროვანმა სტუდენტურმა სერვისმა, კერძოდ, გაცვლითმა პროგრამამ „ერას-მუს+“. გავანალიზე, რომ ეს იყო სხვადასხვა ადამიანებთან განსხვავებულ გარემოში, განსხვავებული ენით საუბრის შესაძლებლობა, უდიდესი შანსი დამოუკიდებლად ცხოვრებისა და აზროვნების. ამას მოჰყვა რეალური გამოცდილების გაზიარებაც. როდესაც ჩემს გარემოცვაში მოუფრებმა ეს შანსი დამისახურეს და ვიხილე მათი წარმატება, საბოლოოდ გადავწყვიტე, გავმხდარიყავი სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი.

ბედნიერი ვარ, ვფიქრობ – იღბლიანიც, რადგან ყველას როდი აქვს შესაძლებლობა, მშობლიურ მხარეში მქონდეს უმაღლესი სასწავლებელი. მე შემთხვევით ვისწავლო არაჩვეულებრივ გარემოცვაში, სადაც პროფესიონალიზმი, განვითარების რეალური შანსი და შედეგისმომცემი განათლება მეგულება. ახლა ყოველგვარი შიშის გარეშე ვფიქრობ, რომ ღირსეულად ვიბრძოლებ წარმატებისთვის სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად.

## სწორად არჩეული პროფესია წარმატების გარანტია

### ნიკოლოზ დემეტრაძე

ახალციხის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის №1 საჯარო სკოლის მე-12 კლასის მოსწავლე:

ადამიანს ცხოვრებაში მრავალი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება უწევს და ერთ-ერთია პროფესიის არჩევა, ხოლო სწორად არჩეული პროფესია წარმატებული ცხოვრების გარანტიაა. მეცნიერები თვლიან, რომ პროფესიის არჩევისას ადამიანზე მოქმედებს რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი – უნარები, ინტერესი, მოტივაცია, ღირებულებები და ოჯახი. აქედან გამომდინარე, იურიდიული ფაკულტეტის სამართლის სპეციალობა ზუსტად თავსებადი ჩემს მისწრაფებებსა და შინაგან მოწოდებასთან.

ბავშვობაში ჩემი ინტერესები მრავალფეროვანი და ცვალებადი იყო, მაგრამ ახლა არჩევანი ზემოთ ხსენებულ პროფესიაზე გავაკეთე. დიდი სურვილი მაქვს, რომ მცირედი წვლილი მაინც შევიტანო ჩემი რეგიონის განვითარებაში, ხოლო ამისათვის საჭიროა მისი უკეთესი განვითარება და არსებული პრობლემების გადაჭრა. ამიტომაც სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიღებული განათლება დამეხმარება.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი უშვებს მაღალ კვალიფიკაციურ კადრებს და კურსდამთავრებულები მეტწილად დასაქმებულები არიან, როგორც საჯარო, ასევე კერძო დაწესებულებებში, სხვადასხვა პოზიციებზე, რაც ჩემთვის დიდი მოტივაციაა. მე მოვუნოდე ყველა ჩემს თანატოლს, რომ აუცილებელია ინტერესის სწორად წარმართვა და სრულფასოვანი განათლების მიღება, რომელიც შესაძლებელია მიიღო ჩვენს რეგიონში, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

მიყვარს აქტიური ცხოვრება და პატარა ასაკიდანვე ვცდილობდი, მონაწილეობა მრავალ პროექტში მიმელო და გარკვეულ წარმატებასაც ვაღწევდი. ჩემი ინტერესის სფერო იმდენად მრავალფეროვანია, რომ არ მაძლევს მოაღუბების საშუალებას. ამის მაგალითად მოგიყვებთ ჩემი აქტიურობის შესახებ. ვიყავი iCSU-ს დამოუკიდებელ ბავშვთა და სტუდენტთა გაერთიანების სპეციალური ორგანიზაციის აქტივობებში, რომელთა დახმარებით შევქედი, გამეტარებინა დაუფინანსო დღეები კაბადოკიაში, სრული დაფინანსებით. ასევე, მივიღე 70%-იანი დაფინან-

სება ბაქოში გასამგზავრებლად. გარდა ამ ორგანიზაციისა, აქტიურად ვმონაწილეობდი საქართველოს ეროვნული ინტელექტის ჩემპიონატებში, სადაც მივალნივარ გარკვეულ წარმატებას და სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის მიერ ჩატარებულ მასტერკლასის შეჯიბრზე „დამახსოვრების ტექნიკაში“ ავიღე პირველი ადგილი. წარსულით თავს აღარ მოგანწყენთ. რაც შეეხება დღევანდელ სტატუსს, გარდა იმისა რომ ვარ აბიტურიენტი, პარალელურად, ვსწავლობ კოლეჯ ოპიზარში კომპიუტერულ მეცნიერებებს, რაც სკოლის პერიოდშივე მანიჭებს სტუდენტის სტატუსს. ბოლოს კი, რაც მთავარია, ჩემს სკოლას მოსწავლის ამპლუაში გაზაფხულზე, ვფიქრობ, ოქროს მედლით დავემშვიდობები.

ჩემი აქტიური ცხოვრება არ შემოიფარგლება მხოლოდ სწავლით. დღემდე ვცეკვავ ანსამბლ „მესხეთში“. აგრეთვე, მონაწილეობა მივიღე მესხეთის დრამატული თეატრის მიერ დადგმულ სპექტაკლებში და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ხელოვნება არის ჩემი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი.

სანამ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩაბარებას გადავწყვეტდი, გადავხედე უნივერსიტეტში სტუდენტური ცხოვრების შესახებ ინფორმაციას. ჩემი აქტიურობიდან გამომდინარე, ერთ-ერთი ფაქტორი, რამაც ამ უნივერსიტეტში ჩაბარებისაკენ მიმიძღვა, სწორედ სიცოცხლით აღსავსე ახალგაზრდული ცხოვრებაა. ასევე, დავინტერესდა უნივერსიტეტში არსებული გაცვლითი პროგრამებით. მინდა მონაწილეობა მივიღო რომელიმე საერთაშორისო პროგრამაში და გარკვეული პერიოდით ევროპულ უნივერსიტეტში ვისწავლო. ეს კი მეტ გამომწოდებდასა და დამატებით ცოდნას შემეძენს, რაც საბოლოოდ ჩვენი რეგიონის განვითარებას მინდა მოვასხმარო.

რაც შეეხება სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში არებული იურიდიული ფაკულტეტის, რამდენჯერმე დავესწარი აქ ჩატარებულ იმიტირებულ სასამართლო პროცესს, ასევე, გავეცანი ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამას, სადაც ამოვიკითხე, რომ პრაქტიკებს გავივლით სხვადასხვა სერიოზულ დანესებულებაში. ამ ფაქტორებმა უფრო მეტად და დამეტიდად განმანაწილა – ჩავაბარო ამ უნივერსიტეტში. წინ ერთიანი ეროვნული გამოცდები მელის. მინდა, ყველა ჩემს თანატოლს ვუსურვო წარმატება.

## მსოფლიოში არსებული ეპიდემიური მდგომარეობიდან გამომდინარე, ვცდილობ, დისტანციურად აქტიურად ჩავერთო საუნივერსიტეტო პროცესში. გარდა ამისა, ვეძებ პროექტებს, ტრენინგებსა და შესაძლებლობებს, რაც დამეხმარება, მივიღო გამოცდილება.

ერთ-ერთი შემთავაზება, რომელსაც ონლაინ სივრცეში გავეცანი, იყო „ექსტრა“. როდესაც ნავიკითხე – „ვეძებთ ექსტრას ამბასადორებს“, დამინტერესა და გავეცანი ამ ვაკანსიას. გავიარე ორსაფეხურიანი გასაუბრების ეტაპი და გავხდი ამ გუნდის წევრი.

ახლა კი მოგიყვებთ მოკლედ, თუ რა არის „ექსტრა“. Extra.Ge არის პლატფორმა, რომელიც გაძლევს საშუალებას ონლაინ რეჟიმში, სახლიდან გაუსვლელად, იყიდო ან გაყიდო შენთვის სასურველი პროდუქცია და მომსახურება. მე, როგორც ექსტრას ამბასადორი, ვეხმარები მომხმარებლებს, მიიღონ ინფორმაცია მათთვის სასურველი ნივთის შესახებ და გამო-

## ონლაინ აქტიურობები

ინერონ ის სახლიდან გაუსვლელად გარდა ამისა, ვთავაზობ ფასდაკლებებს და პრომო კოდს, რის შედეგადაც იმაზე ბევრად ნაკლებად შეიძენენ ნივთს, რაც მითითებული იყო საიტზე. ვფიქრობ, Covid-19-ის პირობებში ეს საიტი ნამდვილად დაგვეხმარება და მე მზად ვარ ყველა მომხმარებელს მივანოლო ამომწურავი ინფორმაცია.

გარდა ამისა, 22 ოქტომბერს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორთან, ქალბატონ მაკა ბერიძესთან შეთანხმებით, პროექტის – „ჩვენ ერთად, ჩვენ შევძლებთ“ ფარგლებში, თანასწორობის თემატიკაზე მომზადებული სტენსილები დავიტანეთ უნივერსიტეტის ეზოში. პროექტი მიმდინარეობს „მე ვირჩევ თანასწორობას“ კამპანიის ფარგლებში, ევროპის საბჭოს პროექტის „ბრძოლა დისკრიმინაციის, სიძულვილის დანაშაულის და სიძულვილის ენის

წინააღმდეგე საქართველოში“ მიერ, რომელიც ხორციელდება საქართველოში 2020-2023 წლების ევროპის საბჭოს სამოქმედო გეგმისა და დანიის სამეზობლო პროგრამის (DANEP) მხარდაჭერით.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში, ჩვენ გავიარეთ ტრენინგები სიძულვილის ენის წინააღმდეგ და მიხარია, რომ ამ აქტიურობის ფინალი ჩვენს უნივერსიტეტს დავუკავშირეთ. პროექტში მონაწილეობდით მე, ლამარა თელიაშვილი და ლია ბერიძე.

ასევე, ვცდილობ, მოვიძიო ინფორმაცია ისეთი ღონისძიებებისა და ტრენინგების შესახებ, რომელიც უშუალოდ ჩემი პროფესიიდან გამომდინარეობს. 18-21 ნოემბერს გავიარე სამართლებრივი კურსი, რომელიც ეხება „ორგანიზებულ დანაშაულს“. აღნიშნული კურსი ორგანიზებული იყო ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცი-



ციის, თბილისის აკადემიური საქმიანობის აპარატის მიერ. ტრენინგებზე განხილული იყო საკითხები, რომელიც ეხებოდა ტრეფიკინგს, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციას, „კანონიერი ქურდებისა“ და „ქურდული სამყაროს წევრობის“ დასჯადობის საკითხებს.

29 სექტემბერს დავასრულე ერთიანი სტაჟირების პროგრამა, რომელიც გავიარე „განათლებისა და საერთაშორისო განვითარების

აკადემიაში“. აღნიშნული პროექტი განხორციელდა გაეროს წარმომადგენლობასთან პარტნიორობით და მოიცავდა სხვადასხვა ღონისძიებასა და აქტივობას, რომლებშიც დღემდე სისტემატურად ვარ ჩართული.

მინდა მოგახსენოთ, რომ პანდემიის დროს, გავიარე ონლაინ კურსი გენდერული თანასწორობის შესახებ, რომელიც სახალხო დამცველის აპარატისა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის ერთობლივი ძალისხმევით მომზადდა. კურსი მიზნად ისახავს ცნობიერების ამაღლებას გენდერული თანასწორობისა და ქალთა ეკონომიკური გაძლიერების საკითხებზე. შემთავაზებული იყო როგორც აუდიო, ასევე, ვიდეო და ფოტო მასალა. აღნიშნული კურსის გავლა ახლაცაა შესაძლებელი და ნებისმიერ დაინტერესებულ ადამიანს შეუძლია.

**ღონადი ღონადრიძე**  
იურიდიული ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტი

ფიქრია ჩხიტიანი

„ღრუბლის ქულაზე დავიდგი ქოხი...“



მედიის

შენ ისევ აქ ხარ, ჩემში ხშიანობ, რა მყარად, რა ღრმად გაგიდგამს ფესვი! დანიშნულია ჯვარნაცვამ ხატზე მესხეთის მინის ყოველი პეშვი...

ყოველთვის, როცა სითეთრე ზამთრის შაშვისწვერს სპეტაკს გაიშლის კილიკს, კვლავ უცნაური ამოჩემებით შენკენ მოვყავარ ფიქრიან ბილიკს.

შენა ხარ ჩემი ხვალის იმედი, შენა ხარ ჩემი ლალი ოცნება – საოცარია, ასე ძალუშნად, მზე შენს ზეცაზე რად იკოცნება?!

დღემდე ლოცვით და რწმენით გატარე, შოთას, თამარის სისხლის ყივილო, შენ ჩემი გულის მფეთქავო ძარღვო, მოურევლო სულის ტკივილო!

ავგაროზივით მაძლიერებდი, ვფიცავ ვარძიას, ზარზმას და ჩორჩანს, რომ შენი ტკბილი სანახებიდან სამყარო უფრო ლამაზად მოსჩანს!

თუ ვინმე სადმე მაღლიანს გეტყვის, იქ ერთი სიტყვა მეც მათქმევინე, მცირე თუ დიდი, მყოფადი ბურჯზე ერთი აგური დამადებინე!

და მერე, თუკი მიმუხთლებს ბედი, თუ მომინებებს სანუთრო ავი, მომეცი ნება, გემთხვიო კალთას, ნავდრად მკერდზე მოგაყრდნო თავი!

მე ვიყავ ქარი

მე ვიყავ ქარი – სივრცეთა სუნთქვა, სული ფრთიანი ღვიოდა დარად, ვიდრე შემღილმა ერთხელ განგებამ ვადამაქცია ხორციელ ქალად!

გადმოვაბიჯე აკრძალულ საზღვარს, გამოგედევნე, თავი გავნირე – შენს თბილ კერასთან, ერთი ჭერის ქვეშ, ჭირი და ლხინი გავინანილე...

და გავხდი შენი შვილების დედა, შენი უტეხი ნების მორჩილი – ხან შფოთიანი, ხანაც უმნეო, უილაჯობით მხარებოჭლი...

რადგან სივრცეებს, კვლავინდებურად, დაუძლეველი ჟინით ველტვოდი და გაავებას თავისანყვეტის უკანასკნელი ღონით ვებრძოდი...

რა ძალა იყო – თითქოს ძარღვებში სისხლი კი არა, გრიგალი ქუხდა!.. სტიროდა სული ყოფის ბორკილებს და უსაზღვრობის დაკარგვას სწუხდა!..

გრძობათა ჭიდილს და გაორებას კენესად გაჰქონდა მკერდში ზრიალი, კვლავაც მტკიოდა და მიიხიმოდა მიტოვებული ფრთების შრიალი...

როგორ ვცდილობდი, რომ შემოდგომის მქრალ ფოთლებივით არ დამცვენოდი, რომ მოფერებდა, რომ დაყვავებდა მუდამ გყოფნოდით და გაგნვენოდით...

და თუ დაგაკლდი მაინც დაღუნდა, და თუ ტკივილად მაინც გექცეო, რაროგად ვწუხვარ... მე ხომ განგებას სიყვარულისთვის გამოვექეცი...

გესმის, მგმინავი მთვარის სამრეკლო როგორ ეხლება თალხიან წკვარამს... ეს მე ვეძახი მწვერვალს მიღმა ფრთებთან დარჩენილ დაუტყლელ ვარამს!..

წერილი მამობარს

მე არც კი ვიცი, რატომ გწერ ახლა, ან მილეთიდან რისთვის ვარაკობ?! თუმცა, შორეულ სიყრმის მეგობრებს რამდენი რამ გვაქვს სალაპარაკო...

იქ აღარა ვარ, სადაც დამტოვე, აღარც ისა ვარ, ვინაც გახსოვარ, თუმცა, ვინახავ სულში ბავშვობას, როგორც მშობლიურ, ძვირფას სახსოვარს...

დავემონაფე დროს და ბეჯითად ვსწავლობ სანუთროს მზიან... ქარიან... კარგად თუ ავად, ავად თუ კარგად, სიცოცხლე მაინც საჩუქარია!

ღრუბლის ქულაზე დავიდგი ქოხი... მოვრჩი სისწრაფეს, მშვიდად მივგოგავ და ხან შფოთიანად, ხანაც უმნეო, უილაჯობით მხარებოჭლი...

სიჩქარით დრო-ჟამს ვერ გავცდი მაინც, ნუ იტყვი, ყველას ერთი გვაქვს ბოლო... სამოგზაუროდ თავიდან გასულს, უფალი თავთან გვაბრუნებს მხოლოდ...

არცერთი სიტყვა, გრძობა თუ განცდა, წრფელ მაღლობაზე ტკბილი არ იყო, ღიმილიც უნდა ისწავლო თურმე და გარს პურივით ჩამოარიგო...

ნახვამდის, გკოცნი, ჯერ კიდევ აქ ვარ... და ახლაც, როცა ამას გიყვები, კვლავ ბალღებვით ონავარობენ ლექსები, ჩემი სულის ციყვები!

ეს იყო... ჰო, ეს ციყვები მიყვარს, ირგვლივ უნდო და მკაცრი ქარია... მაგრამ ამ გულის კუნჭულში თბილა, ვპატიობ, მიყვარს და მიხარია...

დაგას სარკმელთან უსასაკო ჟამი, ჩემი ლალი სიყმანვილის ქურდი! ვარსკვლავეთი დაიხურა ზეცამ, ოჩოკოჩის ჯადოსნური ქუდი...

ვილაც სულში აფათურებს თითებს, რალაც ტკბილს და სანუგუმოს ეძებს, ფოთლოვით დაფარვებებს სევდა, ნუთისოფლის სიზმარულ გზებზე...

ჩემი სარკმლის წინ ნორჩი ასკილის მორჩი როს სადედოფლოს მხრებზე მოისხამს კაბას – იენისის თვეში და ათინათის თქეშში, როს თეთრყირომიზა სახეს ალერსით ნაბავს, გაამზიურებს... ჩამოუქროლებს სიო, ნამდვილი დენდი გადაეველება გულზე!.. ჩემი სარკმლიდან მათ თავანყვეტილ სრბოლას,

თავგამეტებულ გამიჯნურებას ვუმზერ! მერე ჩაცხრება, დაეთხოვება ნანალს. თან ლოცვასავით რალაც სანუკვარს ამბობს... შემოინახავს კვლავაც შეხვედრის იმედს, როგორც ბავზე გამოსათხოვარ ამბობს...

მაგ მზერას ჟამმა წარსტაცა ფსკერი და იდუმალი დაჰპურა რიდე... გშვენოდა, ალბათ, ხასხასა ფერიც, ოდეს აისნი სილაღეს გგვიდინენ...

ახლა კი – სალი კლდესავით დგახარ, ავსაც და კარგსაც ღიმილით ითვლი... და მაინც – ჩამცხრალ ქარიშხალს გავხარ, გამოხედნილი აზრით და ფიქრით...

მე კი მაოცებს იმ სულის სიღრმე, არ დაიმჩნია ვინც ავდრის კვალი!.. გიბოძოთ ღმერთმა, მოგმადლოთ ზენამ გაუტეხელი ღიმილის ძალი!

სერაფიტა

როგორ მიყვარდი... სახელად შენი ოცნება მერქვა... თავს მეფრქვეოდა შადრევანი ჯადოსნურ ფერთა, გაგიჟებული ვფარვებდები ფურცლებად ვარდის...

როგორ მიყვარდი... მზის თვალი იყო სალაში ჩემი და მთვარის სხივი,

ყელს მეჭდობოდა ცეცხლოვანი ვარსკვლავთა მიძივი, მკლავებში მეპყრა ცისკრის სუნთქვა და ვერცხლის ცვარი, ნანახეთა ღელვას შარავანდად ეფინა ცაი... არ იყო სიტყვა – მორეოდა გრძობათა სიღრმეს... ვერა გითხარი...

ოცნება ჩემი სიყვარულის იყო სიზმარი. ბულბულის სტვენად მოგადევნე სურვილის სმია,

აპრილის წვიმად შემოგავლე ცრემლების ზღვაი – ეს მე ვდიოდი ფოთოლთცვენად ოქტომბრის ქარში,

ეს მე ვკრთებოდი უნაპირო წყურვილთა ძალში... ვერ გაგაგონე! ვერ გასმინე წკრიალება ლაფარდის ფერთა...

ო, დაზაფრული, დაზამთრული წავედი ღმერთთან, თან წარვიტანე მონატრება შენი ცისმარი – ოცნება ჩემი სიყვარულის იყო სიზმარი.

– ვალერი, მოგვიყვით თქვენ შესახებ.

– დავიბადე, გავიზარდე და საშუალო სკოლა დავამთავრე ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ხევაშენში. მყავს მშობლები და სამი დედამიშვილი. დედა – ცისანა ობოლაძე, ხევაშენის სკოლის დირექტორია, მამაც – გივი ჭრელაშვილი, პედაგოგია. უფროსი და მადონა, უკვე მოქმედი მასწავლებელია, მომდევნო და მარიამი ჩემი ჯგუფელია, ძმა გიორგი ბანკის თანამშრომელი. პედაგოგია ჩემი ძალი ქეთევანი. ბავშვობიდან მიყვარს ფეხბურთი. დღემდე ვცდილობ, რომ მამა-სიმალორად ახლოს ვიყო ამ სფეროსთან. საფეხბურთო ცხოვრებიდან გამომდინარე, სკოლაში გაკვეთილების გაცდენა ხშირად მიწევდა. სკოლა ისე დავამთავრე, არ მიფიქრია, რომელი პროფესია ამერჩია. ვფიქრობდი მხოლოდ ფეხბურთზე...

– როდის დაიწყო თქვენი ურთიერთობა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტთან?

– თავდაპირველად ილიაუნში ესწავლობდი ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალობაზე. სპორტის გამო, ვერ დავდიოდი ლექციებზე. შემინყდა სტუდენტის სტატუსი. მესამე კურსიდან მომიწია სწავლის მიტოვება, შემდეგ – ჯარის გამო... გადავწყვიტე კვლავ ჩამებარებინა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. ასე გავხდი სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი. ლექტორებისა და სტუდენტებისაგან, ასევე, მთლიანი პერსონალისგან, ვისთანაც შეხება მქონია, დიდი

„პირველი და უანასხელი“

ვალერი ჭრელაშვილი სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში დანეგებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამის მესამე კურსზე დასთან – მარიამთან ერთად სწავლობს. ის ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ხევაშენიდანაა. პედაგოგების ოჯახში აღზრდილ ახალგაზრდას სურს, თავადაც პედაგოგის რთულ და საპასუხისმგებლო პროფესიას დაეუფლოს. ამასთან, აღსანიშნავია მისი ფეხბურთით დაინტერესებაც. ვალერი უნივერსიტეტის საფეხბურთო გუნდის წევრიცაა და, ამას გარდა, ახარეთ ნაკრებშიც უთამაშია. მოყვარულის დონეზე, ფეხბურთის თამაშს დღემდე აგრძელებს.

ვალერი ლიტერატურითაა გატაცებული. ის უკვე ავტორია მოთხრობის, რომლის გამოქვეყნება მისი უახლოესი მიზანია. ახალბედა მწერლის მოთხრობის სათაური შემდეგნაირად უღერს: „პირველი და უკანასკნელი“. საინტერესოა, რისი თქმა სურს მას ამ მოთხრობით. გავიცნოთ ჩვენი სტუდენტი, რომელთანაც ინტერვიუ დისტანციური ფორმით ჩავწერეთ.

პოზიტივი ვიგრძენი ამ უნივერსიტეტში. აქ განსაკუთრებული ვარემოა. ჩემი ჯგუფიც განსაკუთრებულია. ჯგუფში არიან სხვადასხვა ასაკის, თუმცა, ერთი შემართების თანაკურსელები. ჩემი ყოფილი მასწავლებელი დღეს ჩემი თანაკურსელია. მყავს ჯგუფელი, რომელიც უკვე პროფესიონალი მასწავლებელია, რადგან ეს ადამიანი მ შვილს უზრდის ქვეყანას.

– თქვენი მომავალი სპეციალობა ლიტერატურის სიყვარულს, მონაწილეობას ურთიერთობის განსაკუთრებულ უნარს, მომავალი მასწავლებლის როლის სრულყოფილად გააზრებას გულისხმობს. ჩვენს დროში ჭაბუკები იშვიათად ირჩევენ პედაგოგიკას. თქვენთვის რომელი ფაქტორი აღმოჩნდა გადაწყვეტი ზემოქმედებითა?

– ვფიქრობ, რომ ნებისმიერი სპეციალობა ან საქმიანობა, რასაც ადამიანი შეიძლება ეწოდეს, სიყვარულს საჭიროებს, ასევე, ფილოლოგიაც, ლიტერატურაც, დანეგებითი განათლებაც და სხვა.

გეთანხმებით, დღევანდელ საზოგადოებაში ბევრი რამ წარმოადგენს იშვიათობას, თუმცა, დღეს ბევრი სტერეოტიპი იმსხვრევა. ჩემი არჩეული – მასწავლებლის პროფესია ცხოვრებამ მარგუნა. გამიმართლა! სპეციალობას აქვს სრული დაფინანსება, ამასთან, მაგისტრის დიპლომს ავიღებ. გამომდინარე იქიდან, რომ ვარ საკმაოდ კომუნიკაბელური და ცნობისმოყვარე, მაქვს პედაგოგებთან ურთიერთობის გამოცდილება, ასევე, სწორად მეუბნებიან, რომ ბავშვებს ვუყვარვარ (ეს ჩემი დიმიტივებისა და ძმიშვილების მაგალითიდანაც ჩანს). მეც მიყვარს ბავშვებთან ურთიერთობა, ვფიქრობ, თქვენ მიერ დასახელებულმა თითქმის ყველა ფაქტორმა განაპირობა ჩემი პროფესიის არჩევა.

– ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ხართ მოთხრობის ავტორი. გვითხარით, რისი თქმა გსურთ ამ მოთხრობით?

– მოთხრობის წერა ნელს, მაინც დავიწყე. მანამდე ჩემს ჩანა-

წერებს სოციალური ქსელით ვაქვეყნებდი. მხოლოდ მოგონებების შენახვა და გადმოტანა ვცადადე ფურცელზე... მოთხრობა 60 თაბახის ფურცელს ითვლის. პირველად ჩემს ახლობლებს ვაჩვენე, მათი აზრი მინდოდა გამეგო. ჩემს რძალს წავაკითხე და ძალიან მოეწონა, შემდეგ ჩემს რამდენიმე ახლო მეგობარს და ბოლოს ჩემი ძმის ნათლას, რომელიც გამოცდილი პედაგოგია. მან მომანოდა იდეა, რომ მოთხრობა ნიგნად გამოცეცე. მომეწონა ეს აზრი და მსურს, რომ 50-მდე ეგზემლარი დავბეჭდო.

მოთხრობა ეხება ჩემი სიყვარულის ისტორიას და ჰქვია „პირველი და უკანასკნელი“. ამ ნაწერში, ვფიქრობ, კარგად ჩანს, თუ რა არის სიყვარულის არსი.

სათაური ყველაფერს ამბობს, ჩემი აზრით. ვფიქრობ, რომ დღეს სიტყვა „სიყვარული“ გააუფერულეს. მხოლოდ ფურცლებსა და ისტორიებს შემორჩათ ის ჭეშმარიტება, რომელიც სიყვარულის გრძობას გამოხატავდა. ამის მა-



გალითები მრავალია; ჩემთვის განსაკუთრებული, ამ თვალსაზრისით, „ვეფხისტყაოსანია.“

მსურს, რომ ჩემმა ნაწარმოებმა იხილოს მზის სინათლე და მოხარული ვიქნები თუ უნივერსიტეტი ამამი თავის შესაძლებლობის მიხედვით შეიტანს წვლილს.

– გვესაუბრეთ თქვენს სამომავლო გეგმებზე.

– მომწონს გამონათქვამი – „თუ გინდა, ღმერთი გაცინო, მოუყვი მას შენი გეგმების შესახებ.“ მეც ასე ვარ, დღევანდელი ცხოვრებით ვცხოვრობ, რასაც უფალი მომმადლის ცხოვრების შემეგობით, იმის მაღლობელი ვარ. სხვა – ჩვეულებრივ, როგორც უნდა იყოს; ვარ სტუდენტი, ვცდილობ ყოველი წამი სიმართლისა და ადამიანური ფასეულობებისათვის გამოვიყენო, მეტი არაფერი დაგვრჩება.

– მაღლობა, ვალერი, საინტერესო საუბრისთვის. წარმატებებს გისურვებ.

ინტერვიუერი  
ლიკა ზაზაშვილი

მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლების მიზნით, ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისათვის, იურიდიული კომპანიის „Law Firm T&K“ მიერ გამოცხადებულ კონკურსში ხალხის რჩეული გახდა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამართლის სპეციალობის მე-4 კურსის სტუდენტი ლია ბერიძე. ლიას გადაეცა კონკურსში გამარჯვების დამადასტურებელი სერტიფიკატი. მისმა ესსემ ბევრი მოწონება დაიმსახურა.

გთავაზობთ კონკურსში გამარჯვებული ლია ბერიძის ესსეს.

**ერთ-ერთი** ყველაზე აქტუალური პრობლემა, დღესდღეობით, რის წინაშეც ჩვენ ვდგავართ, ესაა ოჯახური ძალადობა. ოჯახში ძალადობის თემა განსაკუთრებით მტკივნეულია და რთული. მის მიღმა ხომ იმალება ვიღაცის წყენა, გაღიზიანება, უბედურება. სამწუხაროდ, დიდი ხნის განმავლობაში ოჯახში ძალადობა აღიქმებოდა, როგორც „პირადი“ საქმე და სახელმწიფო არ იღებდა ვალდებულებას, ამგვარი ქმედება სოციალურ პრობლემად ელიარებინა. სიმწვავის მიუხედავად, პრობლემა დღემდე ჩრდილშია მოქცეული. ძალადობის მსხვერპლთ არ უნდათ, განცილების შესახებ განაცხადონ, რცხვენიათ საკუთარი თავის, არ სურთ ოჯახის „ლაღატი“, ეშინიათ მოლაღატის მხრიდან შურისძიებისა და აგრესიის, არ სჯერათ სამართალდამცავი ორგანოების. ხშირად ნათესავებიც და სამართალდამცავებიც კი მომხდარში მსხვერპლს ადანაშაულებენ. ჩვენდა სამწუხაროდ, საზოგადოება თვლიდა და ხშირ შემთხვევაში დღესაც მიიჩნევს, რომ ოჯახური პრობლემები იქვე უნდა გაირჩეს, რომ ეს „ოჯახური საქმეა“ და საზოგადოება ამაში არ უნდა ჩაერიოს. ეს განაპირობებს იმას, რომ მსხვერპლი მოძალადის პირისპირ მარტო რჩება და ისლა დარჩენია, უსასრულოდ ითმინოს.

მეცნიერული კვლევების მიხედვით, ოჯახში ძალადობა ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ ძალაუფლებისა და კონტროლის დამყარების მიზნით ხდება. თუმცა, საქართველოში ჩატარებული კვლევების შედეგად, უმრავლესობა ოჯახში ძალადობის ძირითად მიზეზად უმუშევრობას, ალკოჰოლიზმს, ნარკომანიასა და სხვა სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს ასახელებს. სინამდვილეში კი ოჯახში ძალადობა ერთნაირად არსებობს როგორც ჩამორჩენილ, ასევე ეკონომიურად განვითარებულ ქვეყნებში. ჩამოთვლილი ფაქტორები მხოლოდ და მხოლოდ ძალადობის ხარისხზე მოქმედებენ და, გარკვეულწილად, პროვოცირების ელემენტებად შეიძლება განიხილებოდეს.

საქართველოს კანონის – ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ მე-3 მუხლის თანახმად „ოჯახში ძალადობა გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური

# ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობა

## ესსე

უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით. ოჯახში ძალადობას გააჩნია საკუთარი მახასიათებლები და თავისებურებები ანუ ის კრიტერიუმები, რომლის მიხედვით ხდება ოჯახში ძალადობის იდენტიფიცირება. ოჯახში ძალადობა არ არის ერთგვრადი ქმედება – ეს არის პროცესი, რომელიც შედგება ძალადობის განმეორებადი ციკლებისაგან და დამყარებულია მოძალადის და მსხვერპლის ურთიერთობაზე; ოჯახში ძალადობა დროში გახანგრძლივებულია და აქვს ზრდის ტენდენცია; ძალადობის სუბიექტები, როგორც წესი, ერთმანეთზე არიან დამოკიდებული, ამიტომ უმეტეს შემთხვევაში ოჯახი მალავს ამ ფაქტს; მოძალადის პოზიციიდან მისი ქმედება ეფექტურია მსხვერპლთან ურთიერთობის „გასარკვევად“, მისი აზრით სხვა არაძალადობრივი ქმედებები მეტ ძალისხმევას მოითხოვს. განვითარებული თუ განვითარებადი ქვეყნების კულტურული იდეოლოგია ქალების წინააღმდეგ ძალადობას ზოგიერთ შემთხვევაში დასაშვებად მიიჩნევს.

ნარსულში რელიგიური და ისტორიული ტრადიციები არ კრძალავდნენ ცოლების დასჯასა და ცემას. განსაკუთრებით, ნებადართული იყო ქალების ფიზიკური დასჯა, რაც მათზე საკუთრების შეგრძნების გამოხატულებად ითვლებოდა. ზოგიერთ საზოგადოებაში, ტრადიციულად, დასაშვებია „გზას აცდენილი“ გოგონების, დების, ცოლების სიკვდილით დასჯა, თუკი ისინი ოჯახის თანხმობის გარეშე დაქორწინდებიან ან გამოადებიან. საზოგადოებისაგან ქალების იზოლაცია წარმოშობს მათ წინააღმდეგ ძალადობას,

განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუკი ქალებს ნაკლები კონტაქტი აქვთ საკუთარ ოჯახებთან და ადგილობრივ ორგანიზაციებთან.

ქალების სოციალურ კავშირებში ჩართვა მნიშვნელოვნად ამცირებს მათ პოტენციურ მსხვერპლადქცევის რისკს და მეტ საშუალებას აძლევთ, თვითონვე დაძლიონ ოჯახური ძალადობის პრობლემა. ეს კავშირები შეიძლება იყოს არაფორმალურიც (ოჯახი და მეზობლები) ან ფორმალური (საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ქალთა თვითდახმარების ჯგუფები ან პოლიტიკურ პარტიებთან არსებული ჯგუფები).

ვი ცნობიერების დაბალი დონე; პოლიციისა და სასამართლოს მხრიდან ქალებსა და გოგონების მისამართით განხორციელებული უტაქტო მოპყრობა. **პოლიტიკური:** ქალები ნაკლებად არიან წარმოდგენილნი ხელისუფლებაში, პოლიტიკაში, მედიაში, სამართალდამცავ ორგანოებსა და სამედიცინო სფეროში.

მოქმედი კანონმდებლობა ოჯახში ძალადობის გამოვლენის და აღკვეთის მიზნით ითვალისწინებს სისხლის სამართლებრივ, სამოქალაქო სამართლებრივ და ადმინისტრაციულ სამართლებრივ მექანიზმებს. სისხლის სამართლებრივი მექანიზმი-



ბი ითვალისწინებს სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებას მოძალადის მიმართ ძალადობის სავარაუდო ფაქტზე, რასაც შედეგად შესაძლოა მოჰყვეს პატიმრობა. სამოქალაქო სამართლებრივი მექანიზმები გულისხმობს მსხვერპლის უფლებას მოითხოვოს ძალადობის შედეგად მოძალადის მიერ მისთვის მიყენებული მატერიალური და არამატერიალური ზიანის ანაზღაურება. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მექანიზმები ითვალისწინებს მოძალადისათვის გარკვეული მოქმედებების შეზღუდვას ან აკრძალვას, რაც ხორციელდება შემაკავებელი და დამცავი ორდერების გამოცემით.

2006 წელს შეიქმნა სახელმწიფო ფონდი, რომელიც ეხმარება როგორც ტრეფიკინგის, ისე ოჯახში ძალადობის მსხვერპლთ. მანამდე არსებობდა არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც საკუთარი სახსრებით და პატარ-პატარა დაფინანსებით ცდილობდნენ დაზარალებულთა დახმარებას. 2006 წლიდან დაიწყო ამ არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სახელმწიფო ფონდის თანამშრომლობა.

საქართველოში ოჯახური ძალადობის შედეგად დაზარალებულთათვის არსებობს ორი თავშესაფარი – თბილისში და ბათუმში. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში არსებული ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარი უნდა აკმაყოფილებდეს მსხვერპლის საყოფაცხოვრებო პირობებს და უნდა უზრუნველყოფდეს მის პირველად და გადაუდებელ სამედიცინო და ფსიქოლოგიურ დახმარებას. თავშესაფრის ადგილი კონფიდენციალურია. მისი გამხელა ისჯება სისხლის სამართლის კოდექსით. თბილისში და ბათუმში არსებული თავშესაფრები 10 ადგილიანია, თუმცა, ოჯახური ძალადობის დროს, როდესაც დედას ჰყავს რამდენიმე შვილი, ხშირად ხდება, რომ თავშესაფარში 10 ადამიანზე მეტი იწყებს ცხოვრებას.

როგორც წესი, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთ რცხვენიათ იმის აღიარება, რომ ისინი დაზარალებულები არიან. არ უნდათ, ან ეშინიათ სიმართლის გამხელა და ამის გამო თავშესაფარს იშვიათად მიმართავენ. არსებობს, აგრეთვე, კრიზისული ცენტრი, რომელიც წარმოადგენს ოჯახში ძალადობის სავარაუდო მსხვერპლთა და მსხვერპლთა დროებითი განთავსების ადგილს და ემსახურება ფსიქოლოგიურ-სოციალურ რეაბილიტაციას, პირველად და გადაუდებელ სამედიცინო მომსახურებასა და სამართლებრივ დახმარებას. საქართველოს კანონში ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარებისთვის გათვალისწინებულია მოძალადეთა სარეაბილიტაციო ცენტრები.

ამრიგად, ოჯახში ძალადობის ყველა მსხვერპლის უკან დგას მთელი რიგი უფლებები და თავისუფლებები, მათ ზურგს უმაგრებს და იცავს, პირველ რიგში, საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, კონვენცია ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღკვეთის შესახებ, კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ. მაგრამ სხვადასხვა ფაქტორების ზეგავლენით მაინც ხდება ამ უფლების შეზღუდვა ან შელახვა.



# თუ ვინმე ცუდად სწავლობს, ის უკვე სჯის საკუთარ თავს

ამჯერად, ბლიც-ინტერვიუს სტუმარი განსაკუთრებული პასუხისმგებლობის გრძნობით გამორჩეული ადამიანი ჯე.ს.უნი.ს ტაბაშაძეა. მან ჩვენს უნივერსიტეტში როგორც სტუდენტმა, ისე შემოაბიჯა, ახლა კი პედაგოგის ამპლუაში აგრძელებს სვლას და, ამავდროულად, ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის საიტს. «ჩემთვის დიდი პატივია, ვიყო ჩვენი უნივერსიტეტის გაზეთის რესპონდენტი. ეს ხდება მეორედ; პირველად – პირველ კურსზე ვიყავი. მაშინ ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ წლების შემდეგ უნივერსიტეტის თანამშრომელი გავხდებოდი.»

ტექსტზე შემომთავაზეს, პროფესიულ პროგრამაზე წამეკითხა ლექციები; ეს იყო ჩემი პირველი ნაბიჯები პედაგოგიკაში. ჩვენი ყოფილი დეკანი ბატონი გიორგი მესხი რომ არა, ალბათ, მე დღეს უნივერსიტეტში არ ვიქნებოდი. – ინფორმაციული ტექნოლოგიები პანდემიის სამსახურში... – პანდემიამ, ექიმების შემდეგ, ყველაზე მეტად, ალბათ, ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში მოღვაწე ადამიანებს გაუასამაგა საქმე. ყველაფერი ონლაინ სივრცეში გადავიდა. შესაბამისად, ჩვენი დატვირთვაც გაიზარდა. ყოფილა შემთხვევები, 7-8 საათი გადამზულად ვმჯ-

დარვარ კომპიუტერთან. ვიცი, ჩემი სფეროს წარმომადგენლებს ახლა უფრო მეტი შრომა უწევთ. იმედია, პანდემია მალე ჩაივლის და ყველანი ჩვეულ რეჟიმს დავუბრუნდებით. – მარკ ცუკენბერგმა თქვა – «ტექნოლოგიები საუკეთესო მამის არის, როდესაც ხალხს აერთიანებს». შენთვის რა არის ტექნოლოგიების მთავარი მიზანი? – მიზანი კაცობრიობის განვითარებაა, ტექნოლოგიები ადამიანს აძლევს შესაძლებლობას, ყველაფერი გააკეთოს უფრო სწრაფად და მარტივად, უფრო დახვეწილი გახადოს მისი შემოქმედებითობა და მუდმივად

სიახლეების ცენტრში იყოს. – კომპიუტერული ოპერაცია, რომლის ანალოგიური თვისებაც გეყენებოდა... – ციფრული სიგნალების დამუშავებას ვცდილობ კარგა ხანია; დაე, «დამუშავება» იყოს ეგ თვისება. – რჩევა სტუდენტებს... – თქვენი დრო გამოიყენეთ მხოლოდ სწავლისთვის, რაც შეიძლება დიდ მიზნებს შეეჭიდეთ, რომ ნახევარი მაინც გამოგივიდეთ! – ცუდი სწავლისთვის უნდა ისჯებოდნენ? როგორ? – თუ ვინმე ცუდად სწავლობს, ის უკვე სჯის საკუთარ თავს! – რჩევა საკუთარ თავს... – ხომ იცი, რაც უნდა აკეთო, ხოდა აკეთე! – რომელი სიტყვა იქნებოდა... – ნეტავ... – ემოციებზე ცუდად მოქმედებს... – დალილობა. – მოტივაციას გაძლევს... – ჩემი შვილები.

– ზებუნებრივი უნარებიდან რომელს ისურვებდი? – ტელეპორტაციის უნარი რომ მქონდეს, გადასარევი იქნებოდა. – ნივთი, რომლის გარეშეც არ შეგიძლია... – ამ ბოლო დროს ისე მივეჯაჭვეთ ყველა კომპიუტერს, ალბათ, კომპიუტერი. – სამუშაოდან თავისუფალ დროს... – სამზარეულოში ვსაქმიანობ. – ერიდები... – ვინმეს წყენინებას, ყოველთვის მიჩვენებია, მე დავრჩენიყენი, ეს უფრო სწრაფად მივიწყებდა. – აგროვებ... – კარგ ელექტრონულ ნიგუნებს მათემატიკაში და ინფორმატიკაში, ოღონდ – მართლა. – ამაცობ... – რომ ძალიან კარგ ხალხთან მიწვევს ურთიერთობა ყველგან. – გსურს... – ჩემმა მოსწავლეებმა ისე მაგრადა ისწავლეს, რომ მსოფლიო გააკვირვონ. – 2021 წელს... – ჯანმრთელობას და სიმშვიდეს გისურვებთ ყველას!

ინტერვიუერი ნანუა მიძელაძე

## ონლაინ ბაკოფენაჟი უნივერსიტეტის მუშაობა

მოგასალმებით, ძვირფასო მეგობრებო. მე ვარ ნათია დოლიძე. დავიბადე და გავიზარდე ქალაქ თბილისში. დავამთავრე 36-ე საჯარო სკოლა. ხელოვნებით მუდამ ვიყავი დაინტერესებული. მაინტერესებდა თეატრალური განხრაც. ხშირად მანიჭებდნენ მასწავლებლები სკოლის ზეიმზე მთავარ როლს.

ნათია დოლიძე ფეისბუქის საშუალებით გავიცანი. მას მხატვართა ერთ-ერთ ჯგუფში ჰქონდა წარმოდგენილი თავისი ნამუშევრები, რომლებიც ძალიან მომეწონა. გადავწყვიტე, ჩვენი კუთხის საზოგადოებისთვისაც გამეცნო მისი შემოქმედება. ის სიხარულით დასთანხმდა ჩემს შეთავაზებას გამოფენასთან დაკავშირებით და 30 ნომბერს სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის ვებგვერდზე აიტვირთა მისი ონლაინ გამოფენა. მან თავისი ერთ-ერთი ნამუშევარი საჩუქრად გადასცა ჩვენს უნივერსიტეტს. პირად ცხოვრებასა და შემოქმედებაზე ის თავად მოგვიყვება.

მარიამ ჩიტაშვილი მუზეუმის სპეციალისტი



სკოლის შემდგომ თავისუფალ დროს სანთლებით ფიგურებით კეთება დავიწყე. მე-2 კლასში ვიყავი, როდესაც სკოლაში გავაკეთე ფიგურები პლასტილინით, რომელიც აუქციონზე იყო გატანილი. ერთხელ რამდენიმე ფიგურა გავაკეთე სანთლით, რაც ძალიან რთული ტექნიკაა. ყოველთვის მომწონდა ცხოვრებაში სირთულეების გადალახვა. არასდროს მიზიდავდა ის, რაც ადვილად მიღწევადი იყო. ახლობლებში დიდ ყურადღებას და მონონებას იმსახურებდა ჩემი ნამუშევრები, მაგრამ ფართო საზოგადოებამდე მათი მიტანა ვერ მოვახერხე... ამ პერიოდში ვნახე სიზმარი, რომელიც გონებაში დღემდე ჩემი ცხოვრების მკაფიო ნათელი ნერტილივით ჩამრჩა – გამოფენა მქონდა ნიუ-იორკში. სამწუხაროდ, ამის შემდეგაც არაფერი გავაკეთე ჩემი ოცნებების ასახედნად.



თად. შემდეგ დასასვენებლად 1 თვით იტალიაში წავედი. ამის შემდგომ 3 დღით ჩავედი სტუმრად დედაჩემის ახლობელ ოჯახში, მაგრამ რატომღაც არ ვარჩიე იტალია და დავბრუნდი ისევ გერმანიაში.

ცხოვრებაში ადვილად არაფერი მიმიღია. მქონია შემთხვევა, როდესაც გარეუბნის მეტროს ბაქანზე თოვლში, რკინის სკამზე მძინებია... მივხვდი, რომ უფალი იმაზე მეტ განსაცდელს არ მოგვივლენს, რის გადატანასაც ვერ შევძლებთ. თითოეული ტიკივილი გვადლიერებს, გამოცდილება – ეს ხომ ცხოვრების ერთგვარი შინაარსია.

3 თვის შემდეგ მომიწია საქართველოში დაბრუნება. საბუთის გაგრძელება გამირთულდა, ვერ გავაგრძელე, არალეგალურად დარჩენას კი არ ვაპირებდი. შემდეგ იყო მოსკოვი, ისევ – საქართველო და ისევ გერმანია, სადაც გავიცანი ჩემი მომავალი მეუღლე (უცხოელი). მყავს 13 წლის ბიჭი. სამწუხაროდ, არც თეატრალური ნიჭით გამოირჩევა და არც ხატვა ეხერხება. თუმცა, მათემატიკური ნიჭითაა დაჯილდოებული და, ალბათ, მისთვის საყვარელ საქმიანობასაც გააყვება სამომავლოდ.

რამდენიმე წლის შემდეგ საცხოვრებლად გადმოვედი ჰოლანდიაში (ნიდერლანდებში). მხოლოდ 5 წლის წინ ამეხილა თვალები, რომ ცხოვრებას უაზრობაში ვკარგავდი. ამის მიზეზი კი ფრანგი მეგობრის სიტყვები გახდა. «უდიდესი დანაშაულია, ადამიანს ოცნების ახდენა შეიძლოს და ამისთვის არაფერი გააკეთოს».

მისმა სიტყვებმა დამაფიქრა, ჩემი სიზმარი და ოცნება გამახსენა... მეორე დღესვე დავიწყე ხატვა... პირველად არნივი დავ-

ხატე. ეს ჩემი პირველი მცდელობა იყო საღებავებით. ბავშვობაში ფანქრებითაც ვხატავდი, მაგრამ არასდროს ვინახავდი...

ბუნებით დეპრესიული პიროვნება ვარ. დეპრესიის დროს ყველაზე მეტად ხელოვნება მეხმარება, თუ მეძვლი და ავიღე ფუნჯი ხელში... მაგ დროს მაინც ვეძებ ჩემი თავი. გონება წყვეტს პრობლემებზე ფიქრს და მიჩნდება სილამაზის გადმოცემის სურვილი. თითოეულ ნაშრომს სული მინდა ჩაუყვას, გენიალური ფიროსმანის მსგავსად, თითქოს მესაუბრებოდნენ და მისთვის დროს ხატვების პროცესში ყველაფერი ისე იდეალურად მიხდა გავაკეთო, რომ თვით ნახატებიც კი კმაყოფილი დარჩენენ.

რაც შეეხება ჩემს ნაშრომს შუშაზე, რომელმაც ხალხის მონონება დაიმსახურა, არ დაგიშალავთ და გეტყვით, მის შესახებ ფეისბუქის მეშვეობით შევიტყუე. მამაკაცმა განათავსა თავისი ნაშრომი, რომელიც იგივე მეთოდით იყო დახატული, ოღონდ აბსტრაქტული სტილში ფერთა შეხამება. მაშინ დამეხატა იდეა, შემექმნა მეც იგივე მეთოდით, ოღონდ ჩემი დამახასიათებელი სტილის მქონე ნახატები. ვხატავ ისე, რომ ვერ ვხედავ, მხოლოდ დასრულების შემდეგ ვხედავ შედეგს. თუ შეცდომა დავუშვი სადმე, ან მთლიანი ნახატი უნდა წავშალო ან, უბრალოდ, სხვა რამეში გამოვიყენო შუშა. სანამ დავიწყებ რაიმეს დახატვას,

ვფიქრობ, ვანალიზებ რამდენიმე დღე, ვზომავ ფიქრებში, შეცდომა რომ არ დავუშვა სადმე. თუ მაინც შემეშალა და დასრულებულზე შევამჩნიე, მისი შეცვლა, შელამაზება შეუძლებელია. ამიტომ მაქვს მხოლოდ რამდენიმე ნამუშევარი. თითოეულ ნაშრომს სული მინდა შთაბერო...

სწორედ გამოთქვამენ შექმნის სურვილს, მაგრამ რატომღაც, არცერთი ნამუშევრის გაყიდვა არ მინდა, თითქოს მენანება (იქნებ, გამოფენისთვის ვინახავ? არ ვიცი, რატომ). რამდენჯერმე გავაჩუქე, ვიფიქრე იგივე და ვხატავდი, ეს კი შეუძლებელია, თქვენც დამეთანხმებით, ალბათ, ამაში.

ადამიანი ყველაზე ბედნიერი მამიანია, როდესაც საყვარელი ხალხი ჯანმრთელად ჰყავს და როდესაც მათთვის საყვარელ საქმეს აკეთებს. ამიტომ ჩემს შვილს არასდროს დავუშლი, აკეთოს ის, რაც მას გააბედნიერებს. სამომავლოდ უამრავი გეგმა დავა მიტრიალებს თავში. ატელიეს გახსნასაც ვგეგმავ და, ასევე, ჩემი ნამუშევრების პერსონალურ გამოფენას, შეთავაზებებიც უკვე მივიღე. დიდად გახარებული ვარ. ეს ჩემი სიცოცხლეა, სუნთქვაა, რის გარეშეც უკვე ვეღარ ვიცოცხლებ. წარმატება მინდა ვუსურვო ყველა ხელოვანს... შეინარჩუნონ თავიანთი ინდივიდუალიზმი და არასდროს მიბაძონ სხვას. უფალი გვარავდეთ!

ბავშვობის მოგონებებში შემომრჩა ჩემი მეზობლის ატელიეს ფანჯარა, რომელიც მდებარეობდა ქუჩის მხარეს. მაშინ, როდესაც ბავშვები ეზოში თამაშობდნენ, ქვაფენილზე მჯდომი, ხშირად ვადევნებდი თვალს მისი ხატვის პროცესს. ჩემს ოცნებას – სამხატვრო აკადემიაში ჩამება-რებინა, ყოველთვის ჩემში ვმარხავდი. მისი განხორციელება ვერ შევძელი პირადი მიზეზების გამო. არც იმის საშუალება მქონდა, ფერწერის ინდივიდუალურ კურსზე მევლო. ვფიქრობ, ბავშვი მშობლებისგან ხელმეწყობას საჭიროებს იმისთვის, რომ ცხოვრებაში თავისი გზა აირჩიოს. სამწუხაროდ, ეს ჩემს ცხოვრებაში ვერ განხორციელდა.

სკოლის შემდგომ ჩავაბარე ეკონომიკის ფაკულტეტზე, რომელიც ჩემს გულის ძახილს ვერ პასუხობდა. სწორედ ამ პერიოდში დედა იტალიაში გაემგზავრა სამუშაოდ. ის სპორტული

რედაქტორი მარიამ ჯაფარიძე  
მისამართი ქ. ახალციხე, რუსთაველის 113  
ტელ.: (+995) 22 890 400 191  
ტელ.: 599 25 25 68  
ვებ-გვერდი: www.sjuni.edu.ge